კვირა, 20 ივლისი 1924 წ. მეორე წელიწადი

ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სიმართლის ხმა

№ 35 ყოველკვირეული ჟურნალი № 35

რედაქციის მისამართი: ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია ღია ყოველ დღე { დღის 2 ს. საღამოს 6 ს.

13 ივლისის დეკლარაციის გამო.

ქართული შოვინიზმი თავიდანვე ჩვენებურ ინტელიგენციის და მეურნობაში ნიადაგ დაკარგულ თავად-აზნაურობის დამახასიათებელი მოვლენა იყო. თუ სხვაგან ამ სოციალურ ხასიათის ზოოლოგიურ გრძნობას ბურჟუაზია სთესავდა და აღვივებდა, ჩვენში მისი გამტარებელი და მოსარჩლე გონებრივ შრომის წარმომადგენელი ელემენტი იყო, რადგან ბურჟუაზია, როგორც კლასი, ჩვენს ნაციონალურ ეკონომიკაში თავიდანვე უცხო ხილი და უნიადაგო რამ შეიქნა.

რუსეთის შემოსვლასთან ერთად მოტანილმა კაპიტალუსტურ ურთიერთობის ქარმა ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიის დეკლასაცია საესებით გადახარა წვრილ, ტეხნიკურ ინტელიგენციისაკენ, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენს ინტელიგენციას თავიდანვე გაუჩნდა შრომის ბაზარზე მძლავრი მეტოქე რუს-ინტელიგენტის სახით, რომელსაც მეფის მთავრობა მეტი ნდობის თვალით უყურებდა.

ამიტომ ადვილი გასაგებია თუ რატომ იბრძოდა ასე გაშმაგებით ქართული ინტელიგენცია უკანასკნელ ასი წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ საკითხის ირგვლივ, სწორედ ეს იყო იმის ერთ-ერთი მთავარ მიზეზთაგანი, რომ რუსეთის რევოლიციონურ მოძრობაში ჩვენი ინტელიგენცია უფრო მეტ ენერგიას და ფხიანობას იჩენდა.

და ამიტომი სრულიადაც შემთხვევითი არაა ის გარემეობა, რომ მენშევიკურ პარტიის დღევანდელ ერთად-ერთ კონტიგენტს სწორედ ქართველი ინტელიგენცია წარმოადგენს.

აღარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ეს პარტია დღეს ჩვენს სინამდვილეში ნაციონალისტურ ინტელიგენციის ზრახვათა განხორციელებას ემსახურება.

სულ სხვა შედეგი მოიტანა საბჭოთა ხელისუფლებამ. მან ბევრათ უფრო საშიშარი კონკურენტი მოავლინა ინტელიგენციას. საბჭოთა კავშირში ამხანად დღის ლოზუნგათ გადაიქცა: მუშა-მოსამართლე, მუშა-პროკურორი, მუშა-დამცველი, მუშა-კოოპერატორი, მუშა-ფინანსისტი, მუშა-ჟურნალისტი და ასე დაუსრულებლივ. ახალმა კლასმა, პროლეტარიატის რიგებმა, რომელიც დღემდი მიჩქმალული იყო ბურჟუაზიის მიერ და ფიზიკურ შრომის გარდა არ აძლევდენ მას გასაქანს, ახალ მუშაკთა მთელი ლაშქარი წამოაყენა. ის მოითხოვს თავის კანონიერ ადგილს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, როგორც დიქტატორი კლასი, ის დაუნდობლად მიერეკება ძველ, ხავს მოკიდებულ ინტელიგენციას მართვა-გამგეობის პოზიციებიდან.

რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ, რომ ჩვენში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას თითქმის მთელი ქართველი ეგრედ წოდებული „უპარტიო“ და პარტიული ინტელიგენცია მტრულად უყურებდა.

მათი სულის შთამბერავი, მაცხოველებელი მალამო იყო საქართველოს კონტრ—რევოლიუციური პარტიები მენშევიზმის მეთაურობით. სოციალ—დემოკრატიას-კი ჩვენებური ინტელიგენცია მაინც განსაკუთრებული იმედით შესცქეროდა, მას გულწრფელად სჯეროდა ამ პარტიის ზეკაცობრიული თვისებები.

მაგრამ ამ სამწლინახევრის განმავლობაში ბევრი ჭკუის სასწავლი მაგალითები ნახა ჩვენმა ინტელიგენციამ, რამაც შეურყია მას „დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს“ აღდგენის იმედი და საბჭოთა ხელისუფლების ცხოველმყოფლობა თვალით დასანახი გაუხადა.

დაიშალა მთელი ანტიკომუნისტური პოლიტიკურ პარტიათა ფრონტი; გამკვიდრდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა; შინა მეურნეობა და ეკონომიური აღორძინება სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. განსაკუთრებული პირობები შეიქნა ქართული მეცნიერების და ხელოვნების განვითარებისათვის. საბჭოთა ხელისუფლება მისი ჯერ არნახული ქომაგი და მფარველი აღმოჩნდა.

რაღა დარჩენოდა ამის შემდეგ ძველი რეჟიმის რესტავრაციაზე იმედ გაცრუებულ ინტელიგენციას, თუ არ მისვლა ამ ხელისუფლებასთან გახსნილი გულით, მეგობრული თანაგრძნობით და მასთან თანამშრომლობის გზაზე დადგომა.

ამის პირველი მერცხალია ქართველ მსახიობთა და ხელოვანთა მნიშვნელოვან ჯგუფის 13 ივლისის დეკლარაცია, სადაც ისინი აცხადებენ, საჭიროა აშკარად გარკვეულ იქნას დამოკიდებულება კომპარტიასთან და ჩავდგეთ იმათ რიგებში, რომელნიც აშენებენ ახალ ცხოვრებასო.

მართალია თავიანთ ასეთ ნაბიჯს ისინი სარჩულად უდებენ საკაცობრიო კულტურის და ეროვნულ შემოქმედების ინტერესს და ამავე დროს თავს გულუბრყვილოთ კვლავ „არა პოლიტიკოსებათ,“ ე. ი. პარტიის გარეშე აცხადებენ, მაგრამ ჩვენთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

საქმე ისაა, რომ ეს ხალხი გულწრფელად მოვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან, არ მოერიდა ამის აშკარათ თქმას და გაბედულათ გადალახა საზოგადოებრივი აზრის ტერორი, რომელსაც ადგილი ჰქონდა და ეხლაც აქვს ქართულ ნაციონალისტურ ინტელიგენციაში.

ჩვენ მივესალმებით მათ ამგვარ ნაბიჯს. მათ პირველად გაარღვიეს ნაციონალისტურ შხამის და გესლის კედელი, რომელიც ანცალკევებდა ქართველ ინტელიგენციას პროლეტარულ საზოგადოებრივობიდან, მათ პირველად გადალახეს ეს გზა. უნდა ველოდეთ, რომ ამავე გზით გამოვა მალე კედელს იქით დარჩენილი ჯერ კიდევ ბევრი ქართველი მსახიობი, მგოსანი და მეცნიერი.

„ჩვენ მენშევიკები არა ვართ“

ჟორდანიას წერილიდან

ცნობილია, რომ ბოროტმოქმედების დასაფარავად და მართმსაჯულებისგან თავის დასაღწევად ქურდი ხშირად პატიოსან კაცად იკატუნებს თავს, ქუჩაში გარბის და გულშემზარავად ყვირის: „მიშველეთ, დამღუპეს, არიქა ქურდი“-ო. ქურდების ეს საყვარელი ხერხი ქართულ სოც.-დემოკრატიამ დღეს თავის ხელობად გაიხადა. ან-კი რა გაეწყობა. მენშევიკობა დღეს პოლიტიკურ ჯიბგირობის, ავაზაკობის და ზნე-დაცემულობის სინონიმად გადაიქცა.

პატიოსან კაცს დღეს სათაკილოდ მიაჩნია ამ სახელის ტარება. დღეს ჩვენში მენშევიკი საძრახ სიტყვად, გინებადაა გადაქცეული. ეს თვით მენშევიკურ პარტიამაც კარგად შეიგნო და ცდილობს მოიხსნას შუბლიდან ეს სამარცხვინო იარლიკი, თავი პატიოსან კაცად მოგვაჩვენოს.

აი რას სწერს ამის შესახებ ქართულ მენშევიზმის კათალიკოსი, ნოე ჟორდანია, თავის ამქრებს საქართველოში:

„ჩვენ ვართ რევოლიუციური სოციალ-დემოკრატია. ტერმინი „მენშევიკი“ ჩვენი ტერმინი არ არის. ის მივიღეთ მაშინ, როცა რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ფარგლებში ვიყავით...

როცა მენშევიკობა რუსის სოც.-დემოკრატებმა ოპორტიუნიზმის და პოლიტიკურ უხასიათობის აშკარა სინონიმად გადააქცია, ჩვენ მენშევიკები არა ვართ, ვიყავით და ვართ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია.“

როგორ მოგწონს, მკითხველო? მე ქურდი არა ვარ, მე ყოვლად საიმედო პიროვნება ვარ. „ჩვენ მენშევიკები არა ვართ, ვიყავით და ვართ რევოლიუციონური სოც.-დემოკრატია.“ ამას ამბობს მენშევიკური პარტიის ის ფრთა, რომელსაც ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე ყოველ ჯურის მენშევიზმზე მეტი „ქურდობა“ მიუძღვის ოქტომბრის რევოლიუციის მიმართ. ამას ამბობს თვით ამ რევოლიუციის თავდამსხმელთა დღესაც დაუცხრომელი მამა-მთავარი ნოე ჟორდანია და ძმანი მისი, რომლებიც ხელს რუსეთისაკენ იშვერენ.

აი ოპორტიუნისტები, აი პოლიტიკურ უხასიათობის პარტია მენშევიკები. ჩვენ-კი, როგორ გეკადრებათ, ჩვენ რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია ვართო.

ბარაქალა თქვენს რევოლიუციონერობას, უტიფრობაც ასეთი უნდა. პარტია, რომელიც კარის უკან ზის და არ იცის, როდის იხელთოს დრო რევოლიუციისათვის დანის ზურგში ჩასაცემად, პარტია, რომელსაც ჯერაც არ გადუგდია უბიდან საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავში სასროლად მომზადებული ქვა, ეს პარტია კიდევ ბედავს თავის თავს რევოლიუციონური პარტია უწოდოს.

განა ამაზე შორს წავა საკუთარი თავის გატაკი-მასხარავება და უიხტიბრობა. ავაზაკების, უაჩაღთა შორისაც შეხვდებით ხშირად ისეთ ტიპებს, რომლებსაც ჰყოფნით მოქალაქეობრივი გამბედაობა თავისი მოქმედება გულახდილად აღიარონ. მენშევიკურ პარტიას ყაჩაღის ეს უკანასკნელი კარგი მხარეც-კი დაუკარგავს.

ხალხი დაბერდა მენშევიკის სახელწოდების ქვეშ, აქ გაუთენდა და აქვე უღამდება მათ სიცოცხლის დღეები, და ეხლა, თურმე ნუ იტყვით, მენშევიკი საძრახი სახელი ყოფილა. მერე ვის უდევს ამაში ბრალი? ვისი მეოხებით მოხდა, რომ დღეს მენშევიკი ჩვენში ძუძუმწოვარა ბავშისთვისაც-კი „ფუ-ფუდ“ გადაიქცა.

რასაკვირველია, თვით მენშევიკური პარტიის საქმიანობით. განსაკუთრებით მის უკანასკნელი სამ-წლინახევრის დაუცხრომელი ბრძოლით რევოლიუციის წინააღმდეგ.

დღეს, როცა ამ პარტიას ცალი ფეხი სამარეში უდგას, დღეს, როცა ის ცოდვის მოსანანებელ ანდერძს უნდა სტოვებდეს, რაღა დროს „ზაქს“-ში სიარულია სახელის გამოსაცვლელად.

თქვენ თვით უფრო, ვიდრე რუსის სოციალ-დემოკრატებმა, ლაფში ამოავლეთ და გასვარეთ მენშევიკური პარტია, თქვენ თვით მოუსპეთ საშვალება ყველა პატიოსან მუშას და გლეხს იქ დარჩენისა და დღეს სახელის გამოცვლაზე ფიქრობთ, ახალი ფირმით გინდათ ვაჭრობა.

სულერთია, საქმე ის-კი არაა რა წარწერითა ექნება თქვენს დუქანს, მაგარი ისაა — რა საქონელი ელაგება შიგ. საჭიროა არა მარტო „ვივესკის“ მოხსნა, არამედ დუქნის სრულიად მიკეტვა თავის ამძორებულ საქონლით.

ქართველ მშრომელ ხალხს იმდენი პოლიტიკური შეგნება კი შესწევს, რომ თამამად გაარჩიოს ვინ არის მენშევიკი და ვინ რევოლიუციონერი. ხელს ტყუილა რუსეთისაკენ ნუ იშვერთ, ჩვენ ვიცით სად უნდა ვეძებოთ მენშევიკი, ჩვენ ვიცით სად იმალება „ქურდი“.

ძველთაგანი.

მენშევიკური თუ დაშნაკური ავანტიურა.

მას შემდეგ, რაც ჟორდანიას მეორე წერილს შინაარსი გამოქვეყნდა, აღარავისთვის საეიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მენშევიკური პარტია ჩვენში აშკარად დაადგა იარაღით ხელში ბრძოლის გზას. საამისო გეგმაც იყო უკვე გამომუშავებული.

სასაცილოა, რა თქმა უნდა, დღევანდელ პირობებში მენშევიკურ პარტიის რაიმე რეალურ საშიშროებაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვაჩერებთ ამ კითხვაზე მკითხველის ყურადღებას, რადგან მენშევიკურ პარტიის მაგალითზე შეუძლია დაინახოს ყველამ, როგორ სცვლის დროთა მსვლელობა ადამიანის, თუ პოლიტიკურ ორგანიზაციის ბედსა და სახეს.

ვის ეგონა, რომ ნოე ჟორდანია, რომელიც ასეთი დაუნდობელი წინააღმდეგი იყო ბოლშევიკებთან იარაღით ბრძოლის, ერთ დროს თვითონვე დაადგებოდა ამ გზას და თავის პარტიასაც აქეთ მოუხმობდა. ყველას ახსოვს რა სისასტიკით გაილაშქრა მან ოქტომბრის პირველ დღეებში რუსეთის ესერების წინააღმდეგ, რომლებმაც კერენსკის მეთაურობით იარაღით ხელში შეუტიეს ახლად შობილ ბოლშევიკურ ხელისუფლებას. დღეს-კი ამ ხელისუფლების მეშვიდე წლის არსებობის თავზე იგივე ჟორდანია ამბობს:

„მე თანახმა ვარ მეორე გზით ბრძოლის წარმოების (ლაპარაკია შეიარაღებულ აჯანყებაზე შ.), თუ მასში ჩაებმიან მთა და აზერბაიჯანი და ბრძოლის ხაზი თავიდანვე კავკასიის ქედი გახდება.

ერთ დროს მენშევიკურ პარტიას ძალიან უყვარდა სხვის ავანტიურაზე ლაპარაკი. ის ქვადა-გუნდს აყრიდა ამისთვის ჩვენებურ ფედერალისტებს და სომხის დაშნაკელებს. თვით ბოლშევიკური რევოლიუცია ამ პარტიამ უდიდეს ავანტიურათ მონათლა და ყოველ გზაჯვარედინზე ამას ჩასჩიჩინებდა ქართველ მშრომელ ხალხს. ეს ჩვეულება ვერც ეხლა მოუშორებია ამ პარტიას, მიუხედავად იმისა, რომ მის მოქმედებაში გარდა ავანტიურისა და დონ-კიხოტობის ვერაფერს ნახავს კაცის თვალი, ის დღესაც სხვის ბოსტანში ისვრის კენჭებს, თუმცა მას სასროლი კენჭებიც გამოლევია.

ჟორდანიას არ აკმაყოფილებს რომ მან სავსებით აღიარა ის, რასაც თვითვე უარჰყოფდა. მან უსირცხვილოდ შესდგა ფეხი აჯანყების გზაზე და სასიქადულო „მოღვაწეობის“ ფრთის შესასხამად საქართველო ვიწრო სარბიელთპდაც ეჩვენება. ეს მისი აზრით ავანტიურა იქნებოდა, სულ სხვა საქმეა თურმე, თუ ეს ცეცხლი მთელ ამიერ-კავკასიაში დაინთო დაღესტანის თან დამატებით:

„ეს, რასაკვირველია (ე. ი. საქართველოს „განთავისუფლება“ შ.) არ შეიძლება განხორციელდეს მარტო საქართველოს შეიარაღებული ბრძოლით **ეს იქნება დაშნაკური ავანტიურა** (კურსივი ჩვენია შ.) და გათავდება ჩვენი განადგურებით. სამაგიეროთ გამოსვლა ამიერ-კავკასიის (დაღესტანითურთ) მასშტაბით უეჭველად მიგვიყვანს გამარჯვებამდი.„

ჭეშმარიტად მართალი ყოფილა ძველი ბერძნული თქმულება: — ღმერთი, რომ ადამიანის დასჯას მოისურვებს, პირველ ყოვლისა მას გონებას დაუკარგავსო. რომელ ჭკუთმყოფელ ადამიანს მოუვა თავში ეს აზრი, რომ „ამიერ-კავკასიის მასშტაბით აჯანყება უეჭველად გამარჯვებამდი მიგვიყვანს“.

სხვას რომ თავი დავანებოთ, რომ დაუშვათ კიდეც ამ აჯანყების შესაძლებლობა, ნუთუ შეუძლია მას რაიმე ნაყოფი გამოიღოს, როცა საბჭოთა ხელისუფლებას ასეთი ძლევამოსილი ლაშქარი ჰყავს. მისი არსებობა შიშის ზარს და ტანში ცრუანტელს ჰგვრის მსოფლიო იმპერიალიზმს. ამ ჯარმა თავის არსებობის პირველ ხანებში შესძლო განადგურება და მიწასთან გასწორება ისეთი მძლავრი სამხედრო ერთეულების, როგორიც დენიკინ-კოლჩაკის და სხვათა კონტრ-რევოლიუციონური ხროვა იყო.

ბარეშე ომის და ეროვნულ შუღლისგან მოსვენებულ ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს არავითარი სურვილი არ აქვსთ ჟორდანიას და ძმათა მისთა ხელისუფლების რესტავრაციისთვის საბრძოლველად. სოციალურ კითხვების მათ სასარგებლოდ გადაჭრამ, სავსებით შეადუღა ეს ხალხი საბჭოთა ხელისუფლებასთან

ვის შეუძლია, თუ არ ამ ხალხის მტერს,

ურჩიოს ეხლა მას აჯანყების გზაზე შედგომა. მკერდში ქვა უნდა ედოს გულის ნაცვლად, ვინც დღეს ქართველ ხალხს და მასთან მის მეზობლებს აჯანყებისკენ მოუწოდებს.

რევოლიუციას საზოგადოთ, და განსაკუთრებით პროლეტარულს, არ უყვარს ხუმრობა მის მოწინააღმდეგესთან.

სისხლის მორევი გადგებოდა მთელს ამიერ-კავკასიაში, რომ ჟრრდანიას ავაზაკურ ფანტაზიას, რანდენადმე ნიადაგი ჰქონდეს ჩვენში და სინამდვილის ნიშან-წყალი მიეცეს. ეს იქნებოდა პირწავარდნილი ავანტიურა, ავანტიურა მენშევიკური, რომელიც მხოლოდ იმით განსხვავდება დაშნაკურ და სხვა სახის ავანტიურისგან, რომ ბედის სასწორზე საკუთარ ხალხის გარდა, სხვასაც აგდებს.

რას ჰგავს დღეს მენშევიკური პარტია?! ნუთუ კიდევ დარჩება ვისმე სასაყვედურო იმათ მიმართ, ვინც ამ პარტიას სამუდამოდ ზურგი შეაქცია? ა. შ—ლი.

ლაქიები.

„ფორვერსტი“ სწერდა: „ერრიოს გამარჯვება 11 მაისს, არის გამარჯვება ინგლისის თვალთა ხედვის ისრის რურის საკითხში. ესაა გამარჯვება **მუშათა პარტიის** (ხაზგასმულია „ფორვერტსში“) იდეის საფრანგეთის რურის გაწმენდის საკითხში დათანხმებისო“.

გერმანიის სოციალ-დემოკრატები ქვეყანას უყრუებდენ ყურებს, რომ მაკდონალდმა შეიბრალა გერმანია და დაეხმარა რურის გაწმენდაში.

მაგრამ... ლაქიების ზეიმი და სიხარული ჯერ კიდევ, დამთავრებული არ იყო რომ მოდის პასუხი:

— რურის ოკუპაცია გრძელდება. გერმანიის კეთილმდომი ერიო—მხოლოდ ფიქრობს შეამციროს ის ხარჯები, რომლის გაწევას ფიქრობდა პუანკარე.

ამნაირად ლაქიების სიხარულს გადაესხა წყალი.

დეპუტატთა პალატაში ერრიო ამბობს:

—როცა საფრანგეთის ინტერესებს, რომლის მეთვალყურეობა მე მადევს კისერზე, ელოდება საფრთხე, მე იძულებული ვარ შევცვალო ჩემი შეხედულება ამ საკითხზე.

რურის საჩქარო ევაკუაცია ნიშნავდა საფრანგეთის მიერ უარის განცხადებას თავის უფლებებზე და ანაზღაურების იმედების დამსხვრევას“. ერრიო მოითხოვდა სოციალისტებიდანაც კი 205 მილიონ ფრანკის ხარჯების მიღებას რურის შესახებ.

ამ წინადადებას ხმა მისცეს მემარჯვენეებთან ერთად სოციალისტებმაც. წინააღმდეგ ხმა მისცეს მხოლოდ კომუნისტებმა.

რას ნიშნავს ეს ფაქტი?

მეორე ინტერნაციონალის სოციალისტების და ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერის და მინისტრ-პრემიერის მაკდონალდის თანხმობით რურში სდგას იმპერიალისტური ჯარები.

ამ ფაქტს კარგად უნდა ჩაუკვირდეს ყველა, მათ შორის გერმანიის ლაქიებიც, რომლებიც პარლამენტარული გზით ფიქრობენ იმპერიალისტურ მისწრაფების წინააღმდეგ ბრძოლას. რ—ძე.

ორი ქალი

1.

ბუდუარის ტიკინა, სათამაშოთ ქცეული,
ფერებით შეღებილი, ვნებათ გადაქცეული,
ტიტველ ტანზე აქა იქ ოქრო-ფარჩით მორთული,
უზრუნველი ცხოვრების ოცნებობით მოცული.
სხვასთან ქმარზე მოლაყბე, ქმართან სხვისა მძებნელი
უსიზმროოა მძინარე, დღე მზიანში მზე-ბნელი,
ცოცხლად მკვდარი ცოცხლებში და მკვდრებში ცოცხალია,
განწირული ქვეყნისა განწირული ქალია...

2.

ახალ ყოფნის დუღაბი, ახალ ყოფნის მჭედელი,
ლამაზ გრძნობათ წალკოტის გაბედულათ შემქმნელი;
შრომის ოფლში უბრწყინავს სახე მზიან დღესავით,
სიყვარულში იშლება ზღაპრულ სამოთხესავით.
გაორება არ იცის, მოგიძულებს-გშორდება,
მტერთან და მეგობართან თავის მკლავით სწორდება,
სხვისი ბარგი არ არის, შრომის ჰიმნის თვალია,—
ახალ ქვეყნის მიჯნაზე ახალ ყოფნის ქალია..

ლიდიანი.

ჩვენი ურილოგა და რუსეთის სოც. დემოკრატია.

ქართულ სოციალ-დემოკრატიის სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მენშევიზმის ბედისთვის საბჭოთა კავშირის მაშტაბით. ჩვენში ეს პარტია თავიდანვე ძლიერი, მტკიცედ დარაზმული ორგანიზაცია იყო, რომლის მზგავსი ყოფილ რუსეთის სოც.-დემ. პარტიას, გარდა თითო-ოროლა სამრეწველო ცენტრისა, არც-კი გაჩნდა.

ეროვნულ და ეკონომიურ ჩაგვრამ, რომელსაც განიცდიდა ჩვენი მშრომელი ხალხი მეფის მთავრობისაგან, ქართული მენშევიზმი შედარებით უფრო რევოლიუციურ და ცხოველმყოფელ პარტიად გადააქცია, ვიდრე თვით რუსული მენშევიკები. მაგრამ ეს იყო ადრე, რუსეთის პირველ რევოლიუციის წლებში და თვით ამ რევოლიუციის ვითარებაში.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა გაიარა, ბევრი ქალამანი გაცვდა. დღეს ქართული მენშევიზმი საბჭოთა კავშირში სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობის უაღრესად მემარჯვენე ფრთად გადაიქცა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არსად არ ჰყავს ეგრედ წოდებულ სოციალისტურ პარტიებში ისეთი დაუნდობელი და მოუსვენარი მტერი, როგორც ქართული მენშევიკებია. სხვა საქმეა რამდენად სახიფათოა ეს ბრძოლა მუშათა და გლეხთა მთავრობისათვის. ან რა ბედი ხვდება წილად თვით მენშევიკურ პარტიას ამ უაზრო ბრძოლის წარმოებაში.

საქმე ისაა, რომ ჩვენებური სოციალ-დემოკრატიის აწ სამუდამოდ შერყეული რიგები რევოლიუციის აშკარა მტერთა ბანაკში საბოლოოდ გადაბარგდა.

მიუხედავათ ამისა მის დღევანდელ ვითარებას თვალყურს ადევნებს მისი თანამომძმე პარტია მთელ საბჭოთა კავშირში. ქართულ მენშევიზმის ძველი ხსოვნა კიდევ ცოცხლობს იქ. ამიტომ იყო, რომ შარშანდელმა 25 აგვისტოს ყრილობამ მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე დიდი ყურადღება მიიპყრო.

ყველგან, საცა კი ერთ დროს რაიმე გავლენით სარგებლობდა სოციალ-დემოკრატია და ის ცოტაოდენ ძალას წარმოადგენდა პარტიის თვითდაშლის პროცესმა პოხიერი ნიადაგი ჰპოვა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა წინ. სამხრეთ რუსეთის (ეკატერინოსლავი, კრიეოროგი, როსტოვი, ადესა და სხვა) მთელ რიგ სამრეწველო პუნქტებში, სადაც სოციალ-დემოკრატია თავიდანვე ძლიერ პარტიათ ითვლებოდა, თვითლიკვიდაციის პროცესი ლოლიკურ ბოლომდი მივიდა.

უმეტეს შემთხვევაში ეს მოძრაობა დაკავშირებული იყო ქართულ სოციალ-დემოკრატიის დღევანდელ ვითარებასთან. ჩვენებური მენშევიზმი რუსეთის ამხანაგების თვალში თითის საჩვენებლათ გადაიქცა. განსაკუთრებით ვერ შერიგებოდენ ისინი ქართულ მენშევიზმის ურა-პატრიოტულ ეროვნულ პოლიტიკას.

ლენინგრადის, სორმოვოს და ტულის მენშევიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც გაფაციცებით თვალყურს ადევნებდენ ქართულ სოციალ-დემოკრატიის შარშანდელ ყრილობას სურვილიც გამოსთქვეს, რომ საქართველოდან დასწრებოდა წარმომადგენელი მათ ყრილობაზე.

ასეთი იყო გასული წლის 25 აგვისტოს ყრილობის მნიშვნელობა რუსეთის მშრომელ ხალხის თვალში. დღეს, როცა ჩვენთვის აშკარაა, რამდენად გამართლდა ამ ყრილობის მიერ გადადგმული ნაბიჯები, კიდევ უფრო მეტი ფასი ედება მას.

ეს უნდა გვახსოვდეს მის ერთი წლის თავზე. ამ სწორი გზით უნდა გადავეშვათ მომავალ წელში და თან გავიყოლიოთ ყველა ჯერ კიდევ ჩვენგან ჩამორჩენილი გზა-აბნეული ამხანაგი.

ა. მაისურაძე.

ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ.

დგება მსოფლიო ომის ათი წლის თავი.

კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც ცეცხლითა და მახვილით იწერებოდა, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ომს. ეს იყო კაპილისტური ომი, ომი ორ დიდ მეტოქის—ინგლის-გერმანეთის კაპიტალთა შორის. ხალხის ფართე მასები მხოლოთ იარაღი იყო.

მუდამ და ყოველთვის ომი გაბატონებული კლასების პოლიტიკით იყო გამოწვეული. მსოფლიო ომიც ასეთმა პოლიტიკამ გამოიწვია. მშრომელ მასებს კი ელაზღანდარებოდენ ეროვნულ თავდაცვაზე, ეროვნულ თავმოყვარეობაზე. ეროვნულ თავმოყვარეობაზე ლაყბობდენ ბურჟუაზიული გაზეთები და ამ „ერს“ კი სისხლსა სწოვდენ წურბელივით. სამშობლოს დაცვისკენ მიუთითებდენ მუშებს და ამ მუშებს „სამშობლოში“ მზიანი დღე არ უთენდებოდა. ჯვრისა და ღმერთის სახელით ლოცავდენ ომში მიმავალ მუშასა და გლეხს და უღვთოდ უნამუსოთ ეპყრობოდენ მათ ცოლ შვილსა და ოჯახს. ბურჟუაზია მსხვერპლისაკენ მოუწოდებდა ყველას, თვითონ კი ფრონტზე დაღვრილს სისხლს ოქროებათ იჩხრიალებდა ჯიბეში.

და ყოველივე ამ სისაძაგლეს ხედავდა და ლოცავდა მეორე ინტერნაციონალი.

აბა რა უნდოდა აფრიკელ ზანგს ან ზუავს მარნისა და შპრეს ნაპირებზე? აბა რა უნდოდა ციმბირელ ან ქართველ გლეხს ნემანისა და ვისლას ნაპირებზე? რომელ, ან ვის სამშობლოს იცავდენ ისინი?

და ამ სისხლში ამოსვრილ მუშებსა და გლეხებს მეორე ინტერნაციონალი კიდევ მეტი სისხლის დაღვრისათვის აქეზებდა.

საკვირველია, როგორ ჩერდება ამ ინტერნაციონალში მუშა!

მსოფლიო ომის ათი წლის თავს ბურჟუაზიული ანტანტა უეჭველია იზეიმებს. „იზეიმებს“ კი მეორე ინტერნაციონალი? ვნახოთ. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ჩვენ არ გვესმის მისი ძლიერი საპროტესტო ხმა. რუსეთის რევოლიუციის შტაბი კი მიმართავს მსოფლიოს პროლეტარიატს და მოუწოდებს სასტიკი პროტესტისაკენ მსოფლიო სისაძაგლის ათი წლის თავზე. ნურავის ჰგონია, რომ ამ ომით დამთავრდეს სისხლის ღვრა კაცობრიობის ისტორიაში. ბურჟუაზიული ქვეყნები გაფაციცებით ემზადებიან მომავალ ომისათვის. მეცნიერება გადაქცეულია სამხედრო უწყებათა ქვეგანყოფილებათ.

ვერსალის ზავი ფარდაა, რომლის იქითა კულისებში ყველაფერი მიმართულია ახალი ომის გასამძაფრებლათ.

ვის დაატყდება მთელი თავისი სისასტიკით და საშინელებით თავზე ეს ომი? თუ ათის წლის უკან კიდევ ჰქონდა ადგილი ელზას-ლორენისა და პოლონეთის საკითხს, დღეს ხომ ესეც არაა?

დეე, იქ მართონ დღესასწაული, ლხინი, ეს იქნება უკანასკნელი მათი ლხინი, ლხინი ჟამის დროს.

და როდესაც დაჰკრავს ჟამი რევოლიუციისა, ჩვენ პირველ პასუხს მოვთხოვთ არა ბურჟუაზიას, არამედ იმათ, ვინც დალოცა ამ ათი წლის უკან სამარცხვინო ომი, ვინც მოაწერა ხელი ვერსალის ზავს, ვინც იცავს დღეს ექსპერტთა გეგმას, ვინც ახრჩობს დღეს გერმანიის პროლეტარიატს, ვინც გასწირა რევოლიუციის საშინელს წლეებში რუსეთის პროლელეტარიატი, ვინც იუდას ამბორით მიდის ევროპის მუშებთან.

ჩვენ პასუხს მოვთხოვთ მეორე ინტერნაციონალს, იმ ინტერნაციონალს, რომელმაც დაამიჯა ფეხი ჯერ კიდევ ომის დროს, ციმბერვალდს და რომელიც დუმილის თანხმობით ხვდება ათი წლის წინ ატეხილ ბურჟუაზიის ჯერ არნახულ ავაზაკობას.

როდიონ ქორქია.

ᲓᲐᲣᲪᲮᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲓᲣᲜ-ᲙᲘᲮᲝᲢᲔᲒᲘ

25 ივნისს დააპატიმრეს ბენია ჩხიკვიშვილი. მან საქართველოში ორი კვირა დაჰყო. არ გასულა მას შემდეგ კიდევ ათიოდე დღე და დაპატიმრებულ იქნა მენშევიკურ ცეკას წევრი ვასო ნოდია.

რატომ მოხდა ეს? რას უნდა მიეწეროს, რომ სოც.-დემოკრატიის ძველი ხელმძღვანელები, იმ სოციალ-დემოკრატიის, რომელსაც თავისი ისტორია აქვს მეფის მოავრობასთან ბრძოლაში,—ბედისგან განწირულები უცვივდებიან საბჭოთა ხელისუფლებას მათი საქართველოში ჩამოსვლის პირველ დღეებშივე.

ნუ თუ ამ პარტიას არა აქვს იატაკ ქვეშ მუშაობის გამოცდილება? ნუ თუ აკლია მას ამ მხრივ ხერხი და გამჭრიახობა? სრულიადაც არა. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში, მისდა საბედისწეროდ, ქართულ სოციალ-დემოკრატიამ განსაკუთრებული ვირტუოზობა გამოიჩინა: ის კომუნისტურ პარტიას უფრო გააფთრებით, უფრო დაუნდობლად ებრძოდა, ვიდრე მეფის მთავრობას.

მაგრამ ყოველივე ცოდნა, ხერხი და გამოცდილება განსაკუთრებულ ფასს ღებულობს თვითეულ კონკრეტიულ პირობებში. თუ ეს პირობები მიმართულია ადამიანის ცდისა და მოქმედების წინააღმდეგ, მაშინ მისი მდგომარეობა, რაც უნდა შეუპოვარი და დაუნდობელი იყოს ის თავის მიზნების განხორციელებაში, სასაცილოდ ღა სიბრალულის გამომწვევად გადაიქცევა ხოლმე.

ასევე ემართება დღეს სოც.-დემოკრატიას. მისი საუკეთესო ბრძოლის ფურცლები მაშინ დაიწერა, როცა მას მისდევდა ფართე მასა. ამ მდგომარეობას კი რევოლიუციის მიწურულამდე ჰქონდა ადგილი ჩვენში.

ოქტომბრის გადატრიალებამ ამ პარტიის მზეს ზენიტის წერტილზე მოუსწრო. მას შემ-

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საბჭოთა კავშირმა უკანასკნელ თვეებში ჩაატარა უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა—ფულის რეფორმა. ეს დიდი მიღწევაა ფინანსიურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

ამ რეფორმის დიდ მნიშვნელობაზე კერძოდ მშრომლებისთვის და საერთოდ მთელ სახელმწიფოსათვის ჩვენ ამ ჟამად არაფერს ვამბობთ. ეს თავის დროზე საკმაოდ გასაგებად გვქონდა აღნიშნული.

ამ წერილით ჩვენ გვსურს ხაზი გაუსვათ იმ უსაფუძვლო ბრალდებებს, რომელსაც ავრცელებენ ფულის რეფორმის ბედის შესახებ.

ახალი მტკიცე ვალიუტის სიმტკიცე არ სჯერა, როგორც საერთოდ მტრებს, ის ზოგიერთ მოყვარეებსაც. განსაკუთრებით არ სჯერათ ეს და არც უნდათ დაიჯერონ საზღვარ-გარედ გადახვეწილ ესერების ორგანო „დნი“-ს მესვეურებს.

ისინი ფულის რეფორმის პირველ დღეებში და მას შემდეგაც გააფთრებულ კომპანიას აწარმოებენ ამ რეფორმის წინააღმდეგ. მათ სურთ,—„გამოამჟღავნონ საბჭოთა კავშირის ფინანსიური პოლიტიკა“.

ჩვენში ხომ არიან საზოგადოების ისეთი წრეები, რომელთაც თვალები ახვეული აქვთ და არ უნდათ დაინახონ ბოლშევიკების მიერ გაკეთებული კარგი საქმეები. რასაკვირველია, ასეთი ჯურის ხალხს არ სჯერა ფულის რეფორმის მომავალიც და დღე-დღეზე მოელის ფულის კურსის დაცემას.

ფულის რეფორმის პირველ დღეებში „ისინი“ ამბობდნენ:

— ბონების მაგვრად კვლავ ქაღალდის ფული შემოიღეს, ეს რაღა რეფორმა არისო.

ახლა კი, როდესაც ხმარებაში შემოვიდა საკმაო რაოდენობა ვერცხლის ფულისა, „ისინი“ გაიძახიან—ეს წმინდა ვერცხლი არ არისო—ერთი სიტყვით, ეს ხალხი ძალად იბრმავებს თავს და არ სურს სიმართლის დანახვა

მაგრამ დავანებოთ მათ თავი და მოკლედ განვიხილოთ:—აქვს თუ არა ფულის რეფორმას ეკონომიური საფუძვლები და შექმნა თუ არა საბჭოთა ხელისუფლებამ მტკიცე ბიუჯეტი.

ფულის სიმტკიცის უზრუნველმყოფელია შემდეგი ფაქტორები: მრეწველობის და წარმოების აღორძინება, უდეფიციტო ბიუჯეტის შექმნა, ემისიის მინიმუმამდე დაყვანა, ხელსაყრელი საგაჭრო, საანგარიშო ბალანსის მიღწევა და სხვ.

დავიწყოთ პირველი ფაქტორიდან: მრეწველობა და წარმოება საბჭოთა კავშირში უკანასკნელ წელში აშკარად აღორძინების და აყვავების გზას დაადგა. თუ 1920 წ. საბჭოთა რუსეთის მრეწველობა უდრიდა 15% ომამდე არსებული მრეწველობისა, მიმდინარე წელს ეს 15 პროცენტი 45%-დე ავიდა. ე. ი. სამჯერ გაიზარდა მრეწველობის პროდუქტივობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მრეწველობის სხვა და სხვა დარგები ერთი ტემპით არ იზრდებიან ეგრედ წოდებული მჩატე ინდუსტრია გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით ვითარდება, ვინემ მძიმე ინდუსტრია. საერთოდ თუ ავიღებთ, მჩატე ინდუსტრიის პროდუქტივობა 50 პროცენტზე მეტია ომამდე არსებულთან შედარებით, ხოლო ზოგიერთი მისი დარგები ძალიან დაუახლოვდა ომამდე არსებულ მდგომარეობას. მაგ. ელექტროტეხნიკურ წარმოებას აქვს ომამდე არსებულის 90 პროცენტი, ხოლო ტილეულობის წარმოება უკვე გაუთანასწორდა ომამდე არსებულ ნორმას.

როგორც ავღნიშნეთ, ცოტა უფრო ნელი ტემპით მიდის მძიმე ინდუსტრიის განვითარება, მაგრამ აშკარა ზრდა იქაც უზრუნველყოფილია. მაგ. 1921 წ. თუჯის პროდუქცია უდრიდა 7 მილ. ფ., მიმდინარე წელში ის ავიდა 35 მილიონ ფუთამდე.

დეგ ის დასავლეთით დაექანა, მას შემდეგ მის ლაჟვარდოვან ცას შავი ღრუბლები წამოაწვა.

საქართველოს გასაბჭოება მეორე ლახვარი იყო ქართული მენშევიზმისათვის და 25 აგვისტოს ყრილობამ კი სავსებით დაღამა მისი სიცოცხლის მზე. მას შემდეგ დარჩა ბნელეთში მოხეტიალე მენშევიკთა გაჯიუტებული ჯგუფი, რომელსაც მიზნად დაუსახავს ბუნების გარდაუვალ კანონებთან ბრძოლა, საკუთარ ბატონობის მზის კვლავ უკან დაბრუნება.

ამიტომ რათ უნდა გვიკვირდეს, რომ დაუცხრომელი ავანტიურისტი ჩხიკვიშვილები და ნოდიები სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან. ისინი მოდიან ჩვენში საზღვარ-გარეთიდან ძველი ანგარიშით. მათ ალბად გულწრფელად სჯერათ, რომ 25 აგვისტო კომედია იყო. და ჩამოსვლისთანავე—ირგვლივ მტრული და უნდობლობის ატმოსფერა და სრული გულცივობა ხვდებათ.

თუ ვინმე შეხვდა მათ წარბგახსნილი, თუ ვინმემ მათ ბრძოლის აღთქმით შეჰფიცა—ეს იყო პოლიტიკური ძუძუ-მწოვარა გოგო-ბიჭები და თითო-ოროლა გზა-დაბნეული ინტელიგენტი. აი, მთელი ის სარბიელი, სადაც უნდა გაეშალა ფრთები ჩეკის მოაჯირით უდროოდ დახშულ ბენიას და ვასოს „რევოლიუციონურ საქმიანობას“. აი ის ხვედრი, რომელიც მოელის საზღვარ-გარეთიდან ჩვენსკენ მომავალ ყველა დაუპატიჟებელ მენშევიკს.

ნუ თუ დღემდისაც ვეღარ დარწმუნდენ ეს ვაჟბატონები, რომ პარიზიდან საქართველომდე ხარჯის გაღება იმიტომ არ ღირს, რომ ჩამოსვლისთანავე ჩეკის კარებს მიუკაკუნონ. მეორე ინტერნაციონალი და ევროპის ბურჟუაზია იმიტომ კი არ იძლევა სუბსიდიებს და დღიურებს, რომ თქვენ ჩეკის რეჟიმს გაეცნოთ.

სიმონ ზეინკალი.

მრეწველობის პროდუქციის გადიდებამ გაუმჯობესა მისი ფინანსიური მდგომარეობაც წინა წლებში სახელმწიფო იქით აძლევდა დახმარებას მრეწველობის სხვა და სხვა დარგებს; ამ ჟამად კი მრეწველობა ფარავს თავის ხარჯებს და იძლევა ცოტა მოგებასაც. მიმდინარე ბიუჯეტში ეს მოგება ნავარაუდევია 40 მილ. მანეთით. ეს დიდი საქმეა.

რაც შეეხება ხელსაყრელ სავაჭრო და საანგარიშო ბალანსს, ესეც უზრუნველყოფილია.

მიმდინარე წელში საბჭოთა კავშირს აქვს აქტიური სავაჭრო ბალანსი, რომელიც მას აძლევს 100 მილ. მანეთს. საანგარიშო ბალანსი კი თავისთავად აქტიური და ხელსაყრელია, რადგანაც საბჭოთა კავშირი ამ ჟამად არ იხდის არავითარ ვალდებულებებს საერთაშორისო ხასიათისას და სავაჭრო ბალანსი დღეს იგივე საანგარიშო ბალანსია.

დაგვრჩა კიდევ ერთი ძირითადი ფაქტორი, რომლისაგანაა უმთავრესად დამოკიდებული ფულის კურსის სიმტკიცე—ესაა უდეფიციტო ბიუჯეტი.

უკვე იყო გაზეთებში ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა შეადგინა მეოთხე საბიუჯეტო კვარტალისათვის (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი) მტკიცე ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტის თანახმად საბჭოთა მთავრობას არ მოუხდება საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად არც ერთი კაპიკის გამოშვება ემისიის საშვალებით. მტკიცე ბიუჯეტი მიღწეულია. თუ წინეთ ყოველი თვისათვის დგებოდა ბიუჯეტი, მეოთხე კვარტალისათვის შედგენილია მტკიცე სამთვიური ბიუჯეტი, ხოლო მომავალ 1924—25 წლისათვის დაწყებულია წლიური უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენა.

მართალია, ეს უდეფიციტო ბიუჯეტი დიდ მსხვრეპლს მოითხოვს, მაგრამ ის ღირს მსხვრეპლის გაღებად. საბჭოთა კავშირის მცხოვრებლებს არ დავიწყებიათ ის სიმწარე და საშინელება, რომელიც თან სდევდა მერყეევი ფულის ტრიალს; განსაკუთრებით ხალხის მშრომელი ნაწილი გრძნობდა მთელ სიმძიმეს ფულის კურსის მერყეობისა და ის შეგნებულად აიტანს ყოველგვარ გასაჭირს, ოღონდ კი ახალი ვალიუტის სიმტკიცე უზრუნველყოს.

როგორც დავინახეთ ამ მოკლე მიმოხილვიდან, ფულის რეფორმა სავსებით გამართლებულია და ის გამართებული დარჩება მომავალშიაც.

ფინანსისტი.

ნაციონალეგის შესახებ

ამ სათაურით ამა წლის 15 ივლისის მოსკოვის „პრავ.“ში მოთავსებულია რუსეთის კომპარტიის საკანტროლო კომისიის წევრის ამხ. ემ. იაროსლავსკის წერილი. აქ ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნულ უმცირესობათა კომპარტიის შემადგენლობას და ურჩევს გამწვენდ კომისიებს მეტი სიფრთხილით მოეპყრან თავის მუშაობის დროს იმ ამხანაგებს, რომლებიც კომპარტიაში შესვლამდი ქართველ მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკელების ორგანიზაციაში ირიცხებოდენ.

„ჩვენ გვქონდა შემთხვევა, სწერს ამხ. იაროსლავსკი, ხაზი გაგვესვა ეროვნულ თავისებურობის მხედველობაში მიღების აუცილებლობისათვის, სადაც მეურნეობა დაბლა დგას და სამრეწველო პროლეტარიატი სუსტად არის განვითარებული, იქ კომპარტიის შექმნა, მისი განვითარება და ზრდა სულ სხვა გზით სწარმოებს ვიდრე ეს სამრეწველო ოლქებშია. მაგალითად დაღესტანში, ყირგიზეთში თურქესტანში და საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, სადაც მეურნეობა ერთფეროვანია, სადაც მცხოვრებთა სოციალური მდგომარეობა ერთნაირია, კომპარტიის რიგები თავიდანვე ივსებოდა ისეთი ელემენტებით, რომელთა შორის ტყუილა დაიწყებდით ძებნას გარკვეულ კლასიურ პროლეტარულ ხაზის. ასეთი მოთხოვნილების წაყენება ზედმეტი არის იმათდამი. ასეთი ელემენტების პროლეტარულ პარტიის კლასიურ სიმტკიცეში გაწვრთნა, კომპარტიის სულის მათში შთაბერვა, მრავალი წლის შრომას და მუშაობას მოითხოვს.

მხოლოდ კონკრეტიულ მაგალითებზე ითვისებენ ეს ამხანაგები ჩვენ კომუნისტურ ხაზს...—

აი რატომ არ უნდა მივაქციოთ პარტიის გაწმენდის დროს ამ ოლქებში ყურადღება სოციალურ შთამამავლობის ფაქტს, როგორც ეს სამრეწველო ოლქებში ხდება. რასაკვირველია, მეტად საჭიროა, რომ ამ ოლქებში ჩვენი პარტია პირველ ყოვლისა პროლეტარულ და ღარიბ ელემენტებს იკრებდეს გარს. მაგრამ ჩვენ გარკვევით უნდა შეეგნოთ, რომ წვრილბურჟუაზიულ წრიდან, რევოლიუციურ კომუნისტურად განწყობილ ელემენტების ჩვენ პარტიაში შემოუსვლელობით ჩვენ ვერ შევქმნიდით ყირგიზეთის, თურქესტანის, ჩერქეზეთ-ადიღეთის ოლქის პარტიებს. უფრო მნიშვნელოვანია სხვა მხარე—როგორ უჭირავთ თავი ჩვენი პარტიის ამ ელემენტებს.

აი რატომ არ შეიძლება წამოყენებულ იქნას გადამწყვეტ საბუთად ამ ოლქებში ის, რომ ესა თუ ის ამხანაგი კომპარტიაში შესვლამდი იყო მუსავატელების, დაშნაკელების, ქართველ მენშევიკების, ყირგიზეთის ალაშორდინელების და იტიხატისტების ორგანიზაციის წევრი. რა თქმა უნდა ამას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, როგორ უჭირავთ თავი ამ ამხანაგებს კომუნისტურ პარტიაში, ახლავს თუ არა მათ ეხლანდელ მუშაობას წარსულის ნიშანი.

ეს მოსაზრებები მისაღებია და უნდა იქნას კიდეც მიღებული მხედველობაში ჩვენი პარტიის რიგების გაწმენდის დროს ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში.“

წარსულიდან

რვა მუშის ისტორიისათვის

(გაგრძელება)

რევოლიუციონური სტაჟით და ფსიხიკით გამაგრებული ორგანიზაცია, პარტიის საუკეთესო იდეოლოგ-ინტელექტუალური ძალებით, რომელსაც მისდევს-თითქმის უკრიტიკოთ და თვალდახუჭვით პარტიის წევრების 90%, რომლის განკარგულებაშიც არის პარტიული ყველა ორგანოები, ლეგალური და არალეგალური საშვალებებით, რა თქმა უნდა გაილაშქრებდენ „ვილაც რვა მუშის“ წინააღმდეგ, რომელნიც არავითარ თეორიულ-ინტელექტუალურ ძალას არ წარმოადგენენ პარტიულ მასაში. სიმართლე თუ გნებავთ ჩვენი პირადი პარტიული ვინაობა შეიქნა ცნობილი პარტიული მასისთვის ჩვენი „გამოსვლის შემდეგ, მაშასადამე ჩვენ სასარგებლოდ ვერ ლაპარაკობდა რაიმე „დიდი ყველასთვის ცნობილი“ რევოლიუციონური სტაჟი, და წარმოვადგენდით მარქსიზმის ელემენტარული დაბალი თუ არა საშუალო ცოდნის მუშებს, ამ დროს ჩვენი გამოსვლა მოითხოვდა მართლაც უალრეს ნებისყოფას უთანასწორო ბრძოლაში და ნერვების კოლოსალურ დაჭიმვას. ამას ემატება ის გარემოება, რომ იმ დროს ჩვენი პარტიული საქმიანობა, რეაქციის ათი წლის სასტიკი დევნით მკვდარ ხაზამდე იყო დასული. პოლიტიკური ცა გასუფთავებული იყო, არავითარი ქარიშხალი არ იყო მოსალოდნელი და ვერვინ ვერ ბედავდა სამარისებურ სიმყუდროვის დარღვევას,

დაბოლოს კითხვას სხვა მხრივადაც მიუდგეთ.

შემოვაკალოთ ის ზედმეტი წვრილმანი

რაც შეიძლება იმ დროინდელი კრიტიკის დარჯაკში გატარების შემდეგ მართლა მეტ ბარგად აღმოჩნდეს და დავტოვოთ, რაც ხალასია, რაც პრინციპიალურია, რაც მთავარი ლეიტმოტივია ჩვენი მაშინდელი დავის: პარტიული და პრესის კარჩაკეტილობა, სივიწროვე, როგორც მაშინ ვუწოდებდით. ეს-კი გამოიხატება მუშათა გამოცოცხლებულ მოძრაობასთან პარტიის და პრესის უკან ჩამორჩენაში, მოდუნებაში, ამის გამოსასწორებლად ჩვენგან მიღებული პრაქტიკული საშვალებანი ორგანიზაციების და უმთავრესად პრესის გაფართოვება და საკანტროლო კომისია, შეიძლება ჩვენ აქაც „მოუქნელად“ გამოვთქვით ჩვენი მოსაზრებანი, როგორც უბრალო მუშებმა, მაგრამ რაცა ვთქვით, რის განხორციელებასაც მოვითხოვდით, განა ინტერესს ან მნიშვნელობას მოკლებული იყო? განა ყველა ჩვენგან წამოყენებული კითხვები, როგორც პრაქტიკული საშვალებანი, გატარებული არ არის ცხოვრებაში? და ვერვინ ვერ მიმითითებს ჩვენ მიერ წამოყენებულ ვერც ერთ ისეთ კითხვაზე, რომელიც სოც.-დემ. პარტიის, ან კომპარტიის მიერ იყოს უარყოფილი, როგორც შეუფერებელი უნიადაგო და უვარგისი, ხოლო კითხვის შეტრიალებით მეტს ვიტყვი: ყველა ჩვენ მიერ წამოყენებული ძირითადი და მთავარი კითხვები გატარებულია უფრო გაფართოვებულად და გაღრმავებულად, ვინემ ჩვენ წამოვაყენეთ.

კონფერენციამ აირჩია გაზეთის დასაარსებლად დამფუძნებელი კომისია სამი კაცისაგან შემდგარი: რ. კალაძე, საველი მეტრეველი და მე.

ვინემ კონფერენციის მიერ მიღებულ საშვალებათა ცხოვრებაში გატარების კითხვას შეუდგებოდე, საჭიროთ მიმაჩნია ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ წარმოებულ ბრძოლის საშვალებებზედ შევჩერდე.

მართალია, ჩვენი კონფერენცია, როგორც ასეთი, თავისთავად მაგარ პასუხს წარმოადგენდა ჩვენი თავდაუჭერელი მოწინააღმდეგების მიმართ, მით უმეტეს დადგენილებით, რომ ჩვენმა თანამოაზრეებმა გამარაველონ ძირითადი და ხელმძღვანელი ორგანიზაციები ჩვენი მომხრეებით, მაგრამ ჩვენ პრაქტიკულ პასუხს არც მოწინააღმდეგენი ჩამორჩენ და თუ არ ვცდები 1916 წ. ბაკურიანის აგარაკთან მოწვეულ პარტიულ კონფერენციაზე, რომლის არსებობაც მხოლოდ შემთხვევით გავიგეთ მისი გათავების შემდეგ დასვეს კითხვა „რვა მუშაზე“. კითხვა ცოტა მძიმე გამოდგა და ვერც ისეთი რადიკალური ზომები დაისახა კონფერენციამ ჩვენს აღმოსაფხვრელად, როგორსაც ზოგიერთი დელეგატები მოითხოვდნენ. ეს იმ დროს, როცა ჩვენი არცერთი თანამოაზრე არ ესწრება კონფერენციას. სამაგიეროდ კონფერენცია რვა მუშის და მათი მომხრეების შესაშინებლად ცდილობს დაქსასოს ჩვენი რიგები, ზოგი აქტიური ელემენტები ჩამოგვაცილოს, ამ მიზნით ადგენს: იქნეს პარტიის წევრობიდან გადაყენებული ამხ. საველი მეტრეველი. მაგრამ ეს მოქნევა ვერ გამოდგა სწორედ დამიზნებული. ჩვენს პოზიციონერებს უნდოდათ ყველაზე უფრო ენერგიული, ძველი, გამოცდილი რევოლიუციონერი, რომელსაც სთვლიან უფრო მაგარ და საშიში მოწინააღმდეგეთ და რომელიც 1905 წლიდან ს.-დემ. პრესაში თანამშრომლობდა, როგორც მოწინავე მუშა-მწერალი, ჩამოეშორებინათ ჩვენთვის. იმათ ეგონათ ჩვენ, „რვა მუშაც“, დაუჯერებდით მოწინააღმდეგების პროვოკაციულ და საზიზღარ ცილისწამებას და ხელს ვკრავდით, რითაც ისედაც უბრალო მუშებისაგან შემდგარი ოპოზიცია უფრო შევიწროვდებოდა, დასუსტდებოდა და ბოლოს ბუნებრივი სიკვდილით გაქრებოდა. მაგრამ, პირიქით, წინააღმდეგი პირობები შეიქმნა, ვინემ თითონ ანგარიშობდენ: არც ერთ ჩვენს თანამოაზრეს აზრათაც არ მოსვლია საველის ჩამოცილება, პირიქით, სწორეთ ამის შემდეგ უფრო შეეჯაგუფდით და ერთსულოვნად ვმოქმედობდით ყველა კითხვებში. მართლაც, არც ერთი კითხვა არ მახსოვს და არც ერთი შემთხვევა მთელი ჩვენი კომპანიის პერიოდში, რომ ჩვენს რიგებში რაიმე პატარა ან ყურადღების ღირსი უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს, ისეთ მოვლენებს, რომელსაც დღე-დღეზე ელოდებოდნენ მოწინააღმდეგენი, ჩვენს რიგებში არა ქონია ადგილი.

ჯაფარიძე.

(გაგრძელება იქნება)

საბჭოთა კავშირის ჯარის რაოდენობა

ინგლისის სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ამას წინათ თემთა პალატაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ჯარის მთელი რაოდენობა 1,003,000 კაცს უდრისო.

ამის შესახებ ამხ. ტროცკიმ შემდეგი განაცხადა: „ყველას ახსოვს, რომ 1920 წლის დასასრულს წითელ ჯარში ითვლებოდა 5,300,000 კაცი. ეს მისი განვითაოების უმაღლესი წერტილია. ამის შემდეგ იწყება თანდათანობითი შემცირება. 1921 წლის 1 სექტემბრისთვის ჯარი დაყვანილია 1,800,000 კაცამდი. ამავე წლის დასასრულისათვის მას აკლდება კიდევ 200,000 კაცი. 1922 წლის 1 სექტემბრისათვის წითელ ჯარი დაყვანილია 825,000 სულამდი. ამნაირათ, ჯერ კიდევ ორი წლის უკან წითელი ჯარის რაოდენობა იყო ბევრათ უფრო ნაკლები იმ რიცხვზე, რომელზედაც ბრიტანეთის სამხედრო უწყების წარმომადგენელი მიუთითებს თემთა პალატაში.

1923 წლის დასაწყისში ხდება შემდეგი შემცირება, რომელსაც დაჰყავს წითელი ჯარი 610,000 კაცამდი. ამავე რიცხვში შედის გამოუკლებლივ საბჭოთა კავშირის ხმელეთის, საზღვაო და საჰერო ძალები. ფაქტიური რაოდენობა წითელი ჯარის მიმდინარე წლის 1 ივნისისათვის 562,067 კაცია, ე.—ი., იმ რიცხვის ნახევრის რამოდენიმედ მეტი, რომელიც დაასახელა თემთა პალატაში ბ-ნ ბრიტანეთის სამხედრო მინისტრის ამხანაგმა.

საიდან მიიღო ბ. მინისტრის ამხანაგმა თავისი ცნობები? ცხადია სამხედრო სამინისტროს მზვერავ განყოფილებიდან. შეიძლება ეს ცნობები დარჩა იქ იმ დავთარში, რომლებიც ჯერ კიდევ აგერ ახლა ემსახურებოდენ კერზონს საბჭოთა კავშირის შესახებ ჭორების გასავრცელებლად.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, განაგრძობს ამხ. ტროცკი, რომ ციფრს 600,000, რომელიც ისედაც პატარაა ჩვენი საზღვრების, სივრცის და მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით, ჩვენ არ ვთვლით ურყევად. ჩვენ არა ერთხელ მიგვიცია წინადადება ევროპისა და მთელი მსოფლიოს შეიარაღების პარალელურად შემცირების პრაქტიკულ პროგრამის გამომუშავების შესახებ. ჩვენ ეხლაც მზათა ვართ წამოვაყენოთ და მხარი დავუჭიროთ ამ წინადადებას; რომ მაკდონალდსა და ერიოს მოკავშირე მთავრობებს აეღოთ თავის თავზე შეიარაღების თუგინდ ევროპის მასშტაბში შემცირების ინიციატივა, ჩვენ ყოველმხრივ დავსთანხმდებით ამას. ვფიქრობთ, რომ ასეთი ინიციატივა დროული იქნებოდა იმპერიალისტურ ომის დაწყების ათი წლის თავის მოახლოების დროს.

„Ხ.“

ქართული თეატრის ირგვლივ.

მომავალ 1925 წელში შესრულდება 75 წელიწადი ქართული თეატრის მუდმივი არსებობიდან.

ისტორიის ფურცლები გადმოგვცემენ ერეკლე მეფის დროინდელ „თეატრის“ სახეს, მაგრამ ჩვენ ხაზს უსვამთ მუდმივი თეატრის არსებობას, დრამატურგიის ჩასახვას და არა სასახლის ხუმარათა „სახიობას“.

და აი ამ 75 წლის არსებობის ზეიმს ქართული თეატრი არაჩვეულებრივი განწყობილებით ეგებება.

მსახიობთა კავშირი ორ ბანაკათ გაიყო: ახლები („დურუჯის“ კორპორაცია) და ძველები.

ვერავინ ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ლადო მესხიშვილს, კოტე მესხს, ვასო აბაშიძეს და სხვა ამათ გვარს—დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული სცენის წინაშე, მაგრამ დრო ცვალებადია, ცხოვრება ელვისებური სიჩქარით მიისწრაფის წინ, წინ სიახლისაკენ.

რა გასაკვირია თუ ამ მოწინავე პოზიციებისაკენ აჩქარებულ ტემპით მსვლელობაში პატივცემული ვასო აბაშიძე და სხვები ახალგაზრდებს ჩამორჩენ. ისტორია თავის საქმეს აკეთებს.

ორ ბანაკათ გაყოფილ სცენის მოღვაწეთა ერთ შტოს წარმოადგენს დღეს რუსთაველის თეატრის მსახიობნი, ხოლო მეორეს დღევანდელი სახალხო სახლი.

რუსთაველის თეატრის ქართული სახიობა ამ ბოლო ხანებამდი დარჩა თავადაზნაურული სულის.

სოციალისტურმა რევოლიუციამ შეარყია მთელი ქვეყნიერება, ევროპის და ნაწილობრივ რუსეთის ხელოვნება უმაღლეს მწვერვალებს აწყდება და რუსთაველის თეატრში 1920 წ. ღვინით ძალზე გაჟღენთილი მსახიობები სდგამენ ერისთავის „სამშობლოს“—სახალხო სახლის სცენას არ უნახავს „სამშობლო“, „და ძმა“ და სხვა „პატრიოტული“ პიესები—ამიტომ არის, რომ სახალხოელებს ვერც ერთი

ახალი თუ ძველი კორპორაცია ვერ შეეჯიბრება რევოლიუციონერობაში.

ისტორია შეუჩერებლივ განაგრძობს წინსვლას. თავადაზნაურულ თეატრში მოხდა რევოლიუცია. დღეს რუსთაველის თეატრი დაიპყრო ბურჟუაზიულმა მიმართულებამ „დურუჯის“ სახით.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

თეატრის ფეოდალური სახე ბურჟუაზიულმა მეობამ შესცვალა. როგორი უნდა იყოს პროლეტარიატის პოზიციები?

ჩვენ შევხარით და დადებითად ვუყურებთ ქართველ მსახიობთა ორ ბანაკათ გაყოფას, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ამგვარი თანდათანობით მივალთ იქამდე, როცა ქართველი მსახიობი აღარ იტყვის „ჩვენ:—არა პოლიტიკოსებიო“.

პატივი და დასვენება ძველებს.

დახმარება ახლებს იმდენად, რამდენად ისინი ყოველგვარ ნიღაბების გარეშე გვერდში უდგანან კომუნისტურ ხელისუფლებას, რამდენად ისინი თავისი მოღვაწეობით ხელს უწყობენ სოციალისტურ აღმშენებლობას.

საქართველოს პროლეტარიატს სახალხო სახლის სახით აქვს საკუთარი თეატრი. სახალხო სახლს ყავს უმემერცხენესი დასი—„ჯეი რანის“ კორპორაციის სახით

შ. გ—ლი.

სიზმარი.

სიზმრად ვნახე: სისხლის ტბაში ბანაობდა საქართველო;
საბჭოები ერს დაემხო, გაეტანა მტრებზე ლელო;
თითქოს იყო რუსეთისთვის დარიალი დაკეტილი;
დროშა წითლად მოელვარე მტვერში ეგდო დაფლეთილი.
სასახლეზე ფრთებს ურხევდა სამფეროვან დროშას ქარი;
მეზობლების დასაპყრობად მიდიოდა სპა-ლაშქარი;
დამფუძნებელ კრების ქვორუმს არ დაჰკლოდა ერთი წევრი;
ქალაქის თავს თეთრ დარბაზში მოეტანა სავსე ქვევრი.
მიკიტნები ზეიმობდენ და უკრავდენ დოლს და თარებს;
ამბროსი და ყველა ღვდლები სამრეკლოზე რეკდენ ზარებს;
ქართულ კლუბში სეირნობდენ ტარიელი და ნესტანი;
ბრძოლას კიდევ აგრძელებდა „ველურებთან“ დაღესტანი.
ევროპიდან ებრუნდებოდი, გაისმოდა „ვაშა“, ტაში;
სასახლესთან ბალახს სძოვდა თეთრ გიორგის თეთრი რაში.
გამეღვიძა, მომაგონდა: გადაგვყარეს ჩვენ შავ ზღვაში;
ჩვენი ბედის ვარსკვლავები აღარ კრთიან მაღლა ცაში;
გამოვჭამეთ რაც კი გვქონდა, მარტო ტყავი შეგვრჩა ყბაში;
ვიმყოფებით უცხო მხარეს და ვცურაობთ ცრემლთა ტბაში.

„კონწარი“.

გვინდა თუ არა გურჟუაზიული ხელოვნება.

პროლეტარულ ხელოვნებამ მხოლოდ ამ ბოლო წლებში მოიპოვა მოქალაქეობრივი უფლება.ბურჟუაზიულ საზოგადოების წრეში გავრცელებული იყო აზრი, რომ ხელოვნება გაჩენილია ქვეყნად რჩეულთათვის. ქვედა ფენები ფართე მასა მათი აზრით შორს დგას ყოველივე ესთეტიურ განცდისაგან. კიდევ მეტი, ბურჟუაზიის საზოგადოებრივ აზრმა ეს მასა ხელოვნების მტრადაც გამოაცხადა და მას სილამაზისადმი ჯალათობა დასწამა. ეს დასკვნა მას გამოჰყავდა იმ მოსაზრებიდან, რომ რევოლიუცია ცივილიზაციის წინააღმდეგ მიმართული ომი არის, რომ ის ანგრევს და ანიავებს საუკუნოებით დაგროვილ კულტურულ სიმდიდრეს. და თუ წინად ამ რევოლიუციის მამძრავებელ ძალად ყოველ მხრივ დაბჩავებული მასა იყო, დღეს პროლეტარიატი გამხდარა ასეთად.

სინამდვილეში ისტორიას არ ახსოვს ისეთი ჰუმანიური კლასი, როგორიც არის ინდუსტრიალური პროლეტარიატი. ეს თვისება განსაკუთრებულ ღირსებას შეადგენს სწორედ ინდუსტრიალური პროლეტარიატისას. ვინაიდან თვით ანტიურ ქვეყნის ლუმპენ-პროლეტარიატიც კი, რომელმაც „ძმობისა და სიყვარულის“ სარწმუნოება, ქრისტიანობა შეჰქმნა, თვით ეს პროლეტარიატი არ ყოფილა ველურობისა და სისხლის დანთხევის ინსტიქტს მოკლებული: მისი ლოზუნგი „უფასო პური“ და „გლადიატორების ბრძოლა“ იყო. მაგრამ ამავე ბურჟუაზიას, რომელიც სილამაზისა და ხელოვნების მზეს ფიცულობს, ბურჟუაზიას, რომელსაც ჰუმანიზმი და კულტუროსნობა საკუთარ მონოპოლიად გამოუცხადებია, ისტორიულ მემკვიდრეობით აქვს ნაანდერძევი ჯალათის როლი. მართალია ეს ჯალათობა უფროპატიოსან სამოსშია გახვეული, მართალია რევოლიუცია უფრო მკაცრი და შიშით წარმოსათმექელი სიტყვაა, ვინემ მონათმფლობელობა, ბატონ-ყმობა და კაპიტალიზმი, მაგრამ რა არის რევოლიუციისგან დაღვრილი სისხლი იმასთან შედარებით, რა წამებაც გადახდა თავს კაცობრიობას ხსენებულ საზოგადოებრივ სისტემის მეოხებით! რევოლიუციის სისხლი—ეს აუცილებლობით გამოწვეული მსხვერპლია საკაცობრიო იდეალების განხორციელებისათვის; რა იდეალისთვის იტანჯებოდა ადამიანი საუკუნოებით ღა იღვრებოდა სისხლი მონათმფლობელობის, ბატონ-ყმობის და კაპიტილიზმის დროს?

ამიტომ ბურჟუაზიის მტკიცება, რომ პროლეტარიატის ბარბაროსულ ბუნებისათვის უცხოა ესთეთიკა,—რა თქმა უნდა უადგილოა. მაშ როგორ მოხდა, რომ დღეს კულტურის ჭირისუფლობას მაინც ბურჟუაზია იჩემებს და ასეთი გულშემატკივრობით იფარავს მას ჩაგრულ კლასიდან?

ხელოვნების და მეცნიერების განვითარების აუცილებელი პირობაა თავისუფალი დრო. ადამიანი, რომელიც დილიდან საღამომდი შრომაშია ჩაბმული და მხოლოდ იმდენს ისვენებს, რამდენიც შრომის ხელახლა განაგრძობას ესაჭიროება, თავისთავად მოკლებულია გონებრივ და სულიერ წინმსვლელობის საშვალებას. ამიტომ, როგორც კი ჩაეყარა საფუძველი ეკონომიურ უთანასწორობას, მეცნიერება და ხელოვნება გაბატონებულ კლასების ხვედრი შეიქმნა. ამ კლასებმა მასში ბატონობის საუკეთესო იარაღი ჰპოვეს და განავითარეს იგი ისე, როგორც ამას მათი კლასიური შეგნება და ინტერესი მოითხოვდა. სწორედ ამიტომ არ სთმობს დღეს ბურჟუაზია უბრძოლველად თავის ბატონობის ამ ერთ ერთ ციხე-სიმაგრეს.

მაგრამ იბადება კითხვა: თუ ხელოვნება ჩაგვრის იარაღი ყოფილა, თუ ის ერთი იმ ბოძთაგანია, რომელზეც ძველი ქვეყანა ებჯინა, არის თუ არა საჭირო პროლეტარიატისთვის, როგორც კლასისათვის, რომელიც იბრძვის კომუნიზმის დასამყარებლად, ხელოვნებაში საერთოდ და კერძოდ მის ბურჟუაზიულ შემოქმედებაში; გამოადგება თუ არა მას საკუთარ ბრძოლაში და აღმშენებლობაში ის კულტურა, რომელიც დღემდი ვითარდებოდა, თუ მან სრულიად ახალი, თავის მიზნების და მისწრაფების შესაფერი მეცნიერება და ხელოვნება უნდა შეჰქმნას.

პროლეტარიატის ბრძოლას კულტურულ ფრონტზე თავისი ისტორია აქვს.

აქ უკვე ერთი დიდი გამარჯვება მოპოებულია. ესაა ის ლახვარი, რომელიც მარქსენგელსის მოძღვრებამ პროლეტარულ სოციოლოგიის სახით ჩასცა ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ მეცნიერებას.

პროლეტარიატმა შეჰქმნა საკუთარი თეორია საზოგადოებრივ მეცნიერებაში, რომლის წინაშე ბევრი არა პროლეტარული ელემენტებიც კი იხრის ქედს. მაგრამ ეს მხოლოდ საზოგადოებრივ მეცნიერებაში, რაც შეეხება ხელოვნებას, აქ პროლეტარიატი ჯერ კიდევ ბურჟუაზიის დიდ გავლენის ქვეშ იმყოფება, მას კიდევ ხანგრძლივი ბრძოლა სჭირდება, რომ ამ ტყვეობიდან თავი დაიღწიოს. მაგრამ, რაკი ინტელექტუალურ სფეროში მეცნიერული მატერიალიზმის სახით მას მოეპოება მტკიცე საფუძველი, ამაზე დაემყარება მისი ეთიური და ესთეტიური განვითარება და ძველ კულტურასთან ბრძოლა.

მეცნიერება ცდის სისტემაა, რომელიც და-

ორიოდე სიტყვა წითელ თეატრზე.

ჩვენ ბუნებრივად მიგვაჩნია ის საზოგადოებრივი ჩოჩქოლი და მღელვარება, რომელიც გამოიწვია წითელ თეატრის გაბედულმა თქმამ, კორპორაციების-„დურუჯის" ბუნტარულმა გამოსვლამ და „ჯეირანის" დაარსებამ, რაც ერთხელ კიდევ ამოწმებს იმ ფაქტს, რომ თეატრი განიცდის საშინელ ტკივილებს და საჭიროებს მალამოს, განახლებას; აშკარაა ამ სასცენო ხელოვნებაში გაჩაღებულია იდეოლოგიურად მოპირდაპირე ძალთა შორის გააფთრებული და დაუნდობელი ბრძოლა.

თეატრის მიზანი, დანიშნულება და საერთოთ სათეატრო პრობლემა ძველი დავაა.

წითელი თეატრი არის ერთად ერთი გზა რევოლიუციონური პროლეტარიატის სასცენო ხელოვნებაში. ის წარმოადგენს იმ არეს, სადაც მოხდება სრული დაშლა ინდივიდუალური კულტის სასცენო ასპარეზზე.

წარსულ საუკუნეების იდეოლოგიის დამცველთა რიგში უთუოდ ბურჟუაზიული თეატრიც მოიპოება, სადაც ისახებოდა მაჯისცემა დროის, ნება და ინტერესი გაბატონებული კლასის.

და დღეს, როცა ქვეყნის სვე—ბედს მესაჰეობს მუშათა კლასი, მას იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლაში ესაჭიროება თეატრი არა მარტო სანახაობის, არამედ თეატრი აღმზრდელი და განმავითარებელი; თეატრი მებრძოლ პროლეტარიატის და ცეცხლიან ეპოქის გონცდებისა და გრძნობების მატარებელი.

ასეთად ჩვენ მიგვაჩნია პროლეტკულტის წითელი თეატრი, რომლის გამოსვლაც ჩვენს სინამდვილეში მიზან-ნასროლი ყუმბარად უნდა ჩაითვალოს,

ნ. შარიხი

ჩვენი სიმღერა.

სტიქიის ძალა გვაქვს ჩვენ მკვლავებში
და ტირანია აწ რას დაგვაკლებს?!
იგი ჩავმარხეთ ბნელ საფლავებში
და ბრძოლას ჩვენთან ვერ განაახლებს.

დეე, ისმოდეს ხმა საფლავიდან,
გველი ხვრელებში ტყვილად სისინებს;
დროშას მწვერვალზე მაინც ავიტანთ.
და გზა ირიბი ვერ შეგვაშინებს.

ახალ ქვეყანას ვქმნით და ვამტკიცებთ,
ვერას დაგვაკლებს აწ ტირანია.
ჩვენ წინ მივდივართ მედგრად და მტკიცეთ,
დღეს ყველა მუშა ამირანია.

გაროლდი.

მუშათა ხერილები

ხალხის ქონეგას-ხალხი განაგებს.

თბილისის ტრამვაი.

15 ივლისს ამხ. ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის კლუბში, პლეხანოვის პროსპექტზე, შესდგა საწარმოო კონფერენცია კომუნალურ მეურნეობის შემდეგი დარგებიდან: ტრამვაის, ქალაქის წყალსადენის და ელექტრონის სადგურების.

კრებას ორმოცამდე დელეგატი დაესწრო. დღის წესრიგში იდგა ტრამვაის დირექტორის ამხ. სანდრო ფარნიევის მოხსენება ტრამვაის მეურნეობის ვითარების შესახებ. მოკლე და შინაარსიან მოხსენებაში დელეგატთა წინ გადაიშალა ტრამვაის მდგომარეობის მთელი სურათი. ისე, როგორც მრეწველობის ყოველ დარგში, ტრამვაის დღეს გამოცოცხლება ეტყობა. სულ მალე ის მიაღწევს ომამდე არსებულ მდგომარეობას და სწრაფად განაგრძობს შემდეგი გზით განვითარებას.

უმთავრესი პირობა საქმის წარმატებით დაყენებისათვის არის წარმოების მომგებლიანობა. ტრამვაიმ უკვე მიაღწია ასეთ მდგომარეობას მისი შემოსავალი სავსებით ფარავს გასავალს და მოსაგებსაც სტოვებს.

დღეს-დღეობით ქალაქის რკინის-გზაზე მოძრაობაშია მუდამ დღე 64 რონოდა, რომელთაგან 44 მოტორიანია. ამას გარდა დაკვეთილია ლენინგრადის ქარხნებში 20 მოტორიანი რონოდა და ადგილობრივ, თბილისში, მზადდება 15 მისაბმელი რონოდა.

ამნაირად დაკვეთის შესრულების შემდეგ, თბილისის ტრამვაის მოძრაობა სავსებით დამაკმაყოფილებელი იქნება ქალაქის მცხოვრე-

---

გროვებულა ადამიანის ბუნებასთან ბრძოლის პროცესში, ესთეთიკა კი ამ ბრძოლაში განვლილ განცდის, გრძნობების სისტემაა. პირველი ხელს უწყობს შრომის ორგანიზაციას მსჯელობის, ლოღიკურ აზროვნობის საშვალებით, მეორე მხატვრულ სურათების და შთაბეჭდილების დახმარებით. ამნაირად მეცნიერება და ხელოვნება არა თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, არამედ ერთსა და იმავე საქმეს ემსახურება. იქ, სადაც ვერ სჭრის მეცნიერება მშრალი ლოღიკით და ღრმა ანალიზით, უფრო ძლიერია ხელოვნება თავის ცოცხალ სურათებით და გრძნობის აღტყინებით.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მეცნიერება გაბატონებულ კლასების პრივილეგიას შეადგენდა. მის შესაძენად ფული და თავისუფალი დრო იყო საჭირო. ამიტომ მისი საგრძნობი ნაწილი მოკლებულია სრულს უნარს განყენებულად იაზროვნოს. და აი აქ პროლეტარულ ხელოვნებას მხატვრული აზროვნების საშვალებით შეუძლია ითამაშოს დიდი როლი თავის კლასის შემეიდროებაში და ორგანიზაციაში. გარდა ამისა პროლეტარიატისათვის, როგორც მებრძოლი კლასისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ხელოვნებას.

კლასთა ბრძოლის პროცესში, სამოქალაქო ომის დროს, მისთვის არ კმარა მარტო მეცნიერულ სოციალიზმის ცოდნა. მას ამასთანავე ხელოვნების მეგზნებარე ცეცხლი ესაჭიროება. თავგანწირვა და შეუპოვარი ბრძოლა, რომელიც ასე ახასიათებს ამ კლასს, შედეგია ყოველთვის ცეცხლით ანთებულ გრძნობის. ცნობილია, რომ შინაური ომი უფრო მკაცრი და და დაუნდობელია, ვიდრე გარეშე.

კაპიტალის და შრომის ბარიკადებზე შეჯახებაში ჩვეულებრივი რევოლიუციონური სიმღერა უფრო გადასწყვეტს ბედს, ვიდრე ლირიბულების თეორია პოლიტიკურ ეკონომიიდან. კუაკი ერთ დროს სწერდა; „პოლიტიკას და ხელოვნებას, განსაკუთრებით პოეზიას, ძალიან ბევრი რამ აქვთ საერთო; პოლიტიკაც და ხელოვნებაც ცდილობს, რაც შეიძლება მძლავრად გაარყიოს ადამიანი, პოლიტიკაც და ხელოვნებაც უნდა მიილტვოდენ იქითკენ, რომ რაც შეიძლება ღრმად ჩასწვდენ და ამოსწურონ ადამიანის სული... პოლიტიკას შეუძლია მისცეს მხატვარს უმაღლესი მასალა, მეტად ვნებიანი იმპულსები, ხელოვნებას კი შეუძლია დიდათ გაამაგროს პოლიტიკურ მებრძოლის ძალა [1]).

მეცნიერული მომზადება, მაზე აღმოცენებული ლოღიკური აზროვნობა ურყევი რწმენის და ნების სიმტკიცის საფუძველია, ხელოვნება-კი გრძნობის აღმტყინებელი და ბრძოლის გამაალმასებელი. ამიტომ უადგილოა იმის მტკიცება, თითქოს პროლეტარიატი საერთოდ და კერძოდ მისი პოეზია მოკლებული იყვეს ესთეტიკას და უარჰყოფდეს მას. ასე შეუძლია იფიქროს ინდუსტრიალურ პროლეტარიატის შესახებ მხოლოდ იმ კლასს, რომელიც არ იცნობს მის მებრძოლ და ორგანიზაციულ ბუნებას.

პროლეტარიატის განმასხვავებელ თვისებას კოლექტივიზმი შეადგენს. განსაკუთრებულმა როლმა საზოგადოებრივ მეურნეობაში და მაზე აღმოცენებულმა ამხანაგურ თანამშრომლობის ტრადიციამ გააძლიერა მასში კოლექტივიზმის სული. და ეს თვისება მას არა მარტო ეკონომიურ სფეროში ახასიათებს, არამედ პოლიტიკურ და იდეოლოგიურშიაც, კოლექტივიზმი პრაქტიკაში და თეორიაში—ასეთია ინდუსტრიალურ პროლეტარიატის ბუნება, ეს არის სწორედ ის ბასრი იარაღი, რომელიც მას სხვა კლასების წინაშე უპირატესობას ანიჭებს და მის გამარჯვებას მოასწავებს.

ა. ჭ.

(შემდეგი იქნება).

[1]) **А. Луначарский. Диалог об искусстве. Москва. 1918 г.**

ბთათვის, რომელთა რიცხვიც ამ ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა.

ამხ. ფარნიევის მოხსენებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ ტრამვაის დირექციას განზრახვა აქვს გააგრძელოს ქალაქის რკინის-გზა, სადაც ამას საჭიროება მოითხოვს. საამისოდ დირექციას უკვე შეკვეთილი აქვს „იუგოსტალ"-ში 100.000 რელსი. ახლო ხანში მიღებულ იქნება ჩეხო-სლოვაკიიდან 400 სალტეების (бандажи) ახალი პარტია, რის ნაკლუვანებასაც განიცდის ქალაქის რკინის-გზა.

დასასრულ მუშათა და მოსამსახურეთა პირობების გაუმჯობესებისათვის დირექციას გადაწყვეტილი აქვს აბანოს აშენება, არა ისეთი ტიპის, როგორიც იყო და არის ძველ ქარხნებთან და ფაბრიკებთან ბურჟუაზიის მიერ დატოვებული, არამედ ევროპიულად გამართულ და ყოველმხრივ კეთილმოწყობილ აბანოსი. ამ საქმისათვის დირექციას განზრახული აქვს გადასდოს 45.000 მანეთი.

მოხსენებით კრება მეტად კმაყოფილი დარჩა. იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დამსწრე მუშა-დელეგატები თავის სიტყვებში მიუთითებდენ დირექციას ამა თუ იმ მტკივან ადგილებზე და რჩევა-დარიგებას იძლეოდენ.

მუშაობაც ასეთი უნდა. ამას ჰქვიან სწორეთ სახალხო ქონების, ხალხისვე მიერ მოვლა-პატრონობა.

წკრიალა.

მიაქციეთ ყურადღება

ქ. თბილისი მოფენილია მუშათა მთლიანი კოოპერატივებით.

ეს კოოპერატივები დიდ შეღავათს აძლევენ ხელმოკლე ხალხს. განსაკუთრებით მანუფაქტურაა აქ იაფ-ფასებში.

კერძო ვაჭართან მანუფაქტურის ყიდვა შეუძლებელია, რადგან სამჯერ ძვირია, ვინემ კოოპერატივებში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად კოოპერატივებში არ მოიპოვება ის საქონელი, რომელიც ყველაფერზე უფრო საჭიროა მშრომელი ხალხისათვის. ასეთია, ჩითეულობა, მიტკალი და ნარმა.

თუ მოიტანეს, უცბად გაიყიდება, რადგანაც გაცილებით იაფად იყიდება, ვინემ კერძო ვაჭართან.

საჭიროა უფრო მეტი რაოდენობა ჩითეულობის, მიტკალის და ნარმისა.

და თუ ეს არ შეიძლება, მაშინ ასეთი საქონელი უნდა ეძლეოდეს მხოლოდ პროფკავშირის წევრებს, საზოგადოების შეუძლებელ ნაწილს და არა ყველას, როგორც ეს დღეს ხდება. მდიდარი ხალხი შესძლებს კერძო ვაჭრისგანაც ყიდვას, ხოლო შეუძლებელი დარჩება ისე.

საჭიროა ამ მოვლენას მუშათა მთლიანი კოოპერატივის ცენტრალურმა გამგეობამ სერიოზული ყურადღება მიაქციოს და მშრომელ ხალხს საშუალება მისცეს ფართლეულის შეძენისა.

გული გიკვდება კაცს, როცა ხედავ კერძო სავაჭროებში დიდძალ ჩითეულს, მიტკალს და ნარმას, ხოლო კოოპერატივებში ის სავსებით არ მოიპოვება. საიდან შოულობენ კერძო ვაჭრები ამ საქონელს? აშკარაა ისევ სახელმწიფო საწყობიდან.

ნუ თუ კოოპერატივებს არ უნდა ჰქონდეს უფლება სახელმწიფო საწყობიდან შეიძინოს ის ფართალი, რომელიც ღარიბ მუშების საჭიროებას შეადგენს?

დროა ამ საჭიროებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს!..

მუშა ივანე.

გაგვიგონეთ!

ყოფ. ადელხანოვის ქარხნის გამგის საყურადღებოდ

არაფერი არაა დღეს ისე ძვირი, როგორც ფეხსაცმელი.

კერძო მეჩექმეები, ფეხსაცმელის მკერავები პირდაპირ ტყავს აძრობენ მყიდველებს.

ყოფილი ადელხანოვის ქარხანა ამზადებს ფეხსაცმელებს, სანდლებს და წუღებს. ფეხსაცმელები ვერ არის მაინც და მაინც კარგი ღირსების, მაგრამ სამაგიეროდ, სანდლები, წუღები და სხვ. საქონელი საუცხოვო ღირსებისაა და შედარებით არც ისე ძვირია.

კერძო პირებთან კი პირდაპირ ვერ მიუდგები ასეთივეს, მაგრამ უფრო ცუდი ღირსების საქონელს. საშინლად ძვირია.

უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ხსენებულ ქარხნის მაღაზიაში, რომელიც მდებარეობს სომხის ბაზრის ქუჩაზე, სისტემატიურად არ მოიპოვება დიდი ნომრის ფეხსაცმელები, როგორც კაცებისათვის, ისე ქალებისათვის.

სამაგიეროდ ბავშვებისათვის რამდენიც გნებავთ იმდენს იშოვით. ხანდისხან მოიტანენ, მაგრამ ძალიან ცოტა რაოდენობას და იმას უცბად დაიტაცებენ.

მუშები და მათი ოჯახის წევრები თვეობით დადიან და სანდლები და წუღები ვერ უშოვიათ.

რაშია საქმე?

რათ არ ამზადებს ქარხანა უფრო მეტად იმ საქონელს, რომელზედაც მეტი მოთხოვნილებაა?

და თუ ტეხნიკურად მეტის დამზადება ქარხანას არ შეუძლია, რათ ეძლევა ყველას, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა, მაღაზიიდან საქონელი? რატომ ხდება, რომ იქიდან ნაყიდი საქონელი „სალდათის" ბაზარზე იყიდება?

მიაქციეთ ამას ჯეროვანი ყურადღება.

გაგვიგონეთ!..

ი. ტ—შვილი.

მუწერილი ამბები

სოფელ წენეთის აე-კარგი

სულ 6 ვერსითაა დაშორებული ეს სოფელი თბილისიდან, მაგრამ აქაც, როგორც საზოგადოდ ბევრს ჩვენს სოფლებში, პირველივე შეხედვიდან ეტყობა პოლიტიკური შეუგნებლობა—შეუკავშირებლობა და კულტურული ჩამორჩენაც. ორივე ამ ნაკლს აქვს თავისი მიზეზები. უმთავრესათ ამათგან უნდა ჩაითვალოს, ის, რომ სოფლად ნაკლებათ სწარმოებს მუშაობა, რომლითაც ფართოდ სარგებლობენ ადგილობრივი შავი ძალები და უბრუნდებენ გზას შეუგნებელ გლეხკაცობას. სულ ერთი კვირის წინათ მუხრანის შესახებ მე ვწერდი, რომ გლეხკაცობა თავისი შეუგნებლობის გამო არ გადის თავისივე გზების შესაკეთებლათ. იგივე სურათი მეორდება წენეთშიაც, სადაც გლეხკაცობას ეზარება სასმელ წყლის მილების მიწით დაფარვის საქმეზე გასვლა და ცხელ მზის, წვიმების ქვეშ ფუჭდება მილებიც და თვით დასალევი წყალიც. რა არის ასეთი შეუგნებლობის მიზეზი თუ არა ის, რომ არ არსეობს ადგილობრივ მუშაობა და ამ გარემოებით-კი სარგებლობს გაკოტრებული თავად-სამღვლობა.

რა უნდა სოფელ წყნეთში, მაგალითად, ყოფილ მემამულე და გლეხების სისხლის საუკუნოების განმავლობაში მწოველ „ჯნიაზ" ბებუთოვებს, ბაისაღოლოვებს, ნურიჯანოვებს და სხვა მათ მზგავს ძალებს. ამათ დაუმატეთ მღდლებიც და სურათიც სრულიად წარმოგიდგებათ.

ავიღოთ ეხლა კულტურული მხარე. საკმარისია თქმა იმისა, რომ არ არსებობს ასეთ დიდ, 900 კომლიან სოფელში კოპერატივები. სამაგიეროთ კი არსებობს შვიდზე მეტი კერძო სავაჭროები, სადაც სხვა საქონელთან ერთად ჰყიდიან ღვინო-არაყსაც და სკარცავენ გლეხკაცობას ნივთიერად და რყვნიან ზნეობრივად ლოთობის გავრცელებით. დაუყოვნებლივ საჭიროა აქ კოოპერტივის დაარსება. თვით გლეხებმა, ადგილობრივ საბჭოს დახმარებით მიმართეს ცეკავშირს, რომელმაც თუმცა დაჰპირდა მათ მაგრამ ჯერაც არ გაუხსნია კოოპერატივი, საჭიროა დაჩქარება.

ადგილობრივ არსებობს ბიბლიოტეკა-სამკითხველო და თეატრიც, მაგრამ ორივე ახლად არის დაწყებული და ვითარდება თანდათანობით, რასაც ხელის შეწყობა სჭირდება და არა შეშლა, როგორც მოქცეულა თბილისიდან იქ ჩასული ვინმე ჭანტურია. ის ასულა წყნეთში, გამოუცხადებია 14 ივლისისთვის წარმოდგენის დადგმის შესახებ, გაუყიდინებია ამ საღამოს ბილეთები, მაგრამ თვითონ თავის მოთამაშეთა ჯგუფით არ გამოცხადდა. წარმოდგენა გადაიდო და ხალხი გაუგებრობაში ჩავარდა. ამას ჰქვია დაოვური სამსახური, რასაც უნდა ერიდონ ჭანტურიასთანა „მოღვაწეებმა"...

ძველი მუშა.

სოფ. ქარტვილი

ეს სოფელი ერთ-ერთი სარაიონო ცენტრია სენაკის მაზრაში. ამიტომ აქ კულტურული დაწესებულებები საკმაოა. არსებობს შრომის სკოლები, შვიდწლელი, ცხრაწლელი, სამკითხველო, თეატრი და სხვა. აღსანიშნავია მშვენიერი სახალხო სახლი, რომელშიაც მოთავსებულია თეატრი, კლუბი და სხვა კულტურული

დაწესებულებები. ეს სახლი აგებულია ს. გეგეჭკორის უახლოესი დახმარებით და ხელმძღვანელობით.

გარდა ამისა გამშვენიერდა დაბის ბაღი.

სამწუხაროდ გლეხობა აქ მეტად გულდაწყვეტილია გვალვით და აბრეშუმის მოუსავლობით. ეს სოფელი ისედაც ღარიბი სოფელი იყო მოსავლით და ახლანდელმა გვალვამ ხომ ყველაფერი გააფუჭა.

მარტვილის თემში არის წყაღვარდნილი „ოფუცხოლი", რომელზედაც ამ ჟამად სწარმოებს დიდი მუშაობა ელექტრონული სადგურის ასაგებად.

მუშაობს 1500-დე კაცი. ახლო-მახლო სოფლების გლეხობამ პირდაპირ სული მოიბრუნა ამ მუშაობით.

აბაშის წყალვარდნილზე ელექტრონის სადგურის გაკეთება სინათლეს მისცემს სენაკს, ზუგდიდს და ნაწილობრივ ქ. ხონსაც.

ხალხს ძალიან აინტერესებს ეს საშვილიშვილო საქმე.

დაბა ნაოღალევი, რომელიც მდებარეობს სოფ. მარტვილის ცენტრში, ძველ დროს დაკავშირებული იყო ქ. ხონთან და ბანძა-სენაკთან დელეფნების და ეტლების ყოველ დღე მიმოსვლით.

ეს იყო რევოლიუციამდე-1917 წლამდე, მას შემდეგ კი მცხოვრებნი მოკლებულნი არიან ასეთ კავშირს.

საჭიროა ადგილობრივი ხელის უფლება აიღებდეს თავის თავზე მიმოსვლის მოწესრიგებას. ზარალი არ ექნება, ეს აშკარაა და იმავე დროს ყოველ დღიური კავშირი ექნება მახლობელ ცენტრებთან. სხვა რომ არა იყოს რა, გაზეთებს მაინც ყოველ დღე მიიღებს დაბა, მცხოვრებთაც ერთნაირი შვება მიეცემათ. ამას უსათუოდ უნდა მიექცეს ყურადღება.

ხუნწელი.

სენაკის მაზრა

(სამეგრელო)

წელს სენაკის მაზრას დიდი უბედურება დაატყდა თავს, საშინელმა გვალვამ მოსავალი ძალზე გააფუჭა. ასეთი ხანგრძლივი გვალვა მოხუცებს არ ახსოვთ. ისედაც ღარიბი გლეხობა ამ გვალვამ ძალიან გაღატაკა. მართალია წვიმა მოვიდა და შეიძლება მომავალშიც მოვიდეს, მაგრამ მოსავალს აწი ის ვერ გამოაკეთებს.

შიმშილის აჩრდილი თავს დასტრიალებს მთელ მაზრას და თუ მთავრობა დროზე არ დაეხმარა დამშეულთ, საშინელება დატრიალდება.

ბუნებამ სამეგრელოს არ აკმარა ერთი სტიქიური უბედურება. ახლა გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც მუსრს ავლებს მსხვილ ფეხა საქონელს. მართალია მთავრობამ მიიღო ზომები ჭირის წინააღმდეგ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ის ისევ განუკითხავად მძინვარებს და მრავალი გლეხის ოჯახი აატირა.

გვალვით და საქონლის ჭირით დაზარალებული გლეხობა ფიქრობდა, აბრეშუმით მაინც მოვიბრუნებ სულსო, მაგრამ იმედები აქაც ვაუკრუვდა. აბრეშუმის მოსავალი ძალიან დანაკლდა, ზოგი ამინდს აბრალებს აბრეშუმის გაფუჭებას, ზოგი კიდევ თესლის უვარგისობას. ჩვენის აზრით ორივე მიზეზი მოქმედებდა შეერთებულად.

საჭიროა მომავალში მაინც ვიზრუნოთ კარგი თესლის შეძენაზე. ხუმრობა საქმე ხომ არაა, გლეხი მთელი გაზაფხულის განმავლობაში უვლის, ამდენ ჯაფას ეწევა და ბოლოს ხელდაბანილი რჩება ყველაფრისაგან.

სენაკის მაზრაში კოოპერატივები ვერაა რიგზე მოწყობილი. საერთაშორისო ომის პირველ წლებში თითქმის ყველა სოფელში დაარსდა კოოპერატივი, მაგრამ თითქმის ყველგან დაიხურა. ამის მიზეზი მრავალი იყო: ფულის კურსის დაცემა, ცენტრიდან საკმაო ხელმძღვანელობის არ გაწევა, ბოროტმოქმედება და სხვ.

გლეხებს თავიანთი საწევრო და საპაიო ფული დაეკარგათ. მათ თვალში კოოპერატივს სახელი გატეხილი აქვს. საჭიროა საქმით, მუშაობით კოოპერაციის პრესტიჟის აღდგენა. სამწუხაროდ ცეკავშირი ვერ იჩენს საჭირო ფხას ამ საქმეში, არ კმარა მარტო ადმინისტრატიულ ცენტრებში კოოპერატივის არსებობა. საჭიროა სოფლების მოფენა კოოპერატივების ქსელით და მით გლეხების ხსნა კერძო ვაჭრების კლანჭებისაგან,

დაყოვნება დანაშაულია, ცეკავშირო, ისმინე ეს.

ადგილობრივი.

სოფელი ხაშმი

(გარე-კახეთში)

ბევრი რამ გააკეთეს სოფელში ამ ხუთიოდე წლებში.

— შეიძინეს ცაში სასროლი შუშხუნები (რაკეტები), რომლითაც შაბათს 5-ივნისს ხაშმზე გადმოვლილ სეტყვის ღრუბლებს დაუშინეს, ძველათ ხატების და ცრუმორწმუნე გლეხის შვილებმა, დღეს-კი შეგნებულ კომუნისტურ გლეხობის ახალგაზრდობამ. ძველი, ვითომ ღმერთის გამოგზავნილი სეტყვა, რაკეტებმა წყლათ აქცია და ამას უყურებდა მთელი ხაშმის საზოგადოების დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, რომელნიც ასე ამბობდენ: „ახალგაზრდებო, აბა კიდევ სთქვან ბებრებმა, რომ ღმერთს ვერავინ ვერ მოერევაო.—მოხუცები კი ასე გაიძახოდენ:—„რა ქნეს ამ ეშმაკებმაო, აქ ხატები და მღვდლები ჩამოყარეს და ცაში ღმერთიც დაამარცხეს. ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, —რომ სეტყვა შუშხუნების გასროლით მეორე სოფლამდინ გაფანტეს—იქაც ბოლოს ორიოდე პატარებიღა ჩამოყარა. ეს ფაქტი არის და ამ ფაქტს უნდა გაჰყვნენ მეზობელი სოფლებიც, რათა თავიდან აიცდინონ ჭირნახულის დასეტყვა.

მეორე დღეს ამავე სოფელში მოხდა სასოფლო მიტინგი,—რომელიც მოწვეული იყო 1923—წ. 6-ივნისის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის გამოცხადების დღის აღსანიშნავათ, აგრეთვე, როგორც კოოპერაციის დღის აღსანიშნავათ. მიტინგს დაესწრო 300-მდე მსმენელი. მოხსენება იყო ვ. მაისურაძის მიერ. მიტინგმა ერთხმად შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა.

კრება ტაშის ცემით და ოვაციებით დაიხურა.

— ამავე საღამოს თეატრში გაიმართა განმეორებითი მიტინგი, სადაც მოვიდენ ამხ. რაიპარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ფირალაშვილი და ამხ. საყვარელიძე, რომლებმაც განმეორებით, უფრო ვრცლათ გააკეთეს მოხსენება ხსენებულ საკითხზე.

— შემდეგ გაიმართა უფასო წარმოდგენა „კაკო ყაჩაღი," მას მოჰყვა ცეკვა ლხინი და პიანინოს დაკვრა.

გარეკახელი გლეხი (ტურა).

სტოკვეზენ მენშეუკურ პარტიას

ქვემო-ჭალის (გორის მაზრა) ყოფილ მენშევიკებმა მოიწვიეს მთელი რაიონის ყრილობა, რომელიც გახსნა ყრილობის მომწვევ საინიციატივო კომისიის წევრმა დ. ფანჯარაშვილმა., მან სთხოვა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მშრომელი ხალხის მსოფლიო ბელადის ამხ. ლენინის ხსოვნისათვის, რაც შესრულებულ იქნა. შემდეგ ფანჯარაშვილმა უსურვა დამსწრეთ საბჭოთა ხელის-უფლების პლატფორმაზე დადგომა და პროლეტარიატის დიქტატურის გამაგრება—განმტკიცება.

ყრილობის თავჯდომარეთ არჩეულ იქნა დიმიტრი ფანჯარაშვილი, მდივნად ალექსანდრე ფრუიძე.

ამხ. ალ. ჩუტკარაშვილმა მოხსენება გააკეთა: (მენშეუკური პარტიის მოღვაწეობაზე 1905—1920 წლამდე), საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობაზე, (საბჭოთა აღმშენებლობაზე და) ეროვნულ საკითხზე. საბჭოთა აღმშენებლობის წინმსვლელობა მომხსენებელმა დაასაბუთა სტატისტიკური ცნობებით, რამაც მეტად დააინტერესა დამსწრენი. მოხსენების ბოლოს ჩუტკარაშვილმა მოუწოდა ყრილობას ჩაბმულიყო სოციალისტურ აღმშენებლობის მუშაობაში და კომუნისტებთან ერთად ეზრუნათ მშრომელი ხალხის ხელისუფლების—განმტკიცებისათვის.

მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს გლეხებმაც, რომლებიც სიხარულით აღნიშნავდენ ორი მოძმე პარტიის შერიგებას მუშათა და გლეხთა საკეთილდღეოთ.

მენშევიკური პარტიის არალეგარულ მუშაობის შესახებ 1921—1923 წლეებში მოხსენება გააკეთა რაიონის ინსტუქტორმა ამხ. გოგოლაძემ, რომელმაც ფაქტებით დაასაბუთა მენშევიკების მიერ საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ წარმოებული მუშაობა, სიამოვნებით აღნიშნა მშრომელი გლეხობის გამოფხიზლება, ძველ ოჯახში დაბრუნება და უსურვა ნაყოფიერი თანამშრომლობა კომუნისტურ პარტიასთან.

მოხსენების მოსმენის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ, ქვემო-ჭალის რაიონის ყოფილი მენშეუკური პარტიის წევრებმა და პარტიის თანამგრძნობმა გლეხებმა, მოვისმინეთ რა მრავალი ამხანაგების დასაბუთებული მოხსენებები მენშევიკური პარტიის, როგორც ლეგარული, ისე არალეგალური მუშაობის შესახებ, რომელიც მიმართული იყო გლეხების და მუშე-

ბის საწინააღმდეგოთ და ვიღებთ რა მხდველობაში, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე განმტკიცებულია საბჭოთა ხელისუფლება და კომინისტური პარტია თავდადებით მუშაობს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ,—ვტოვებთ მშრომელი ხალხის მოღალატე მენშევიკურ-პარტიას, ვუერთდებით ყველა ჩვენს ამხანაგებს, რომლებმაც ჩვენზე ადრე აუღეს აღღო ბურჟუაზიის მომხრე მენშევიკურ პარტიას, ვდგებით პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და ფიცსა ვსდებთ ხელი—ხელ ჩაკიდებულნი შევუდგეთ სოციალისტურ აღმშენებლობის მუშაობას.

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას...

გაუმარჯოს ლ ე ნ ი ნ ი ზ მ ს...

გაუმარჯოს მე 3-მე ინტერნაციონალს...

გაუმარჯოს ორი მოძმის შერიგება—შეერთებას და მათ შეერთებულ ძალას.

ხელისმომწერთა სია*

სოფელ კასპიდან

1	გასიტაშვილი ი.	მიწის მუშა პარტ.	1918 წ.
2	ნაპარიშვილი შ.	„ გვარდ.	
3	ხვთისიაშვილი ვ.	„ პარტ.	1918 „
4	ნინიაშვილი გ.	„ „	1918 „
5	პავლიაშვილი მ.	„ „	1904 „
6	თურქაძე ვასო	„ „	1918 „
7	გზირიშვილი შ.	„ „	1918 „
8	რუსისშვილი ნ.	„ „	1818 „
9	გოგიჯანოვი ნ.	„ „	1905 „
10	გასიტაშვილი ი.	„ „	1918 „
11	მერებაშვილი დ.	„ „	1918 „
12	გზირიშვილი ი.	„ „	1920 „
13	ნინოშვილი ვ.	„ „	1918 „
14	პავლიაშვილი ა.	„ „	1919 „
15	მაღლაფერიძე ვ.	„ „	1901 „
16	მარქარაშვილი ა.	„ „	1918 „
17	მერებაშვილი ვ.	„ თანაგრძ.	1918 „
18	ფარემუზაშვილი კ.	ფეხ. მკ. „	1918 წ
19	ფარემუზაშვილი ვ.	მიწის მუშა	1918 „
20	ნინიაშვილი კოლა	„ „	1918 „
21	ნიპარაშვილი კ.	„ „	1918 „
22	ფარემუზაშვილი შ.	„ „	1904 „
23	ბაინდურაშვილი მ.	ტელ. მოხ. პარ.	1914 „
24	მარქარაშვილი დ.	მიწ. მუშა თან.	1919 „
25	ნინიაშვილი კ.	„ „	1919 „
26	დალაქიშვილი მ.	„ „ პარ.	1918 „
27	ზარიძე ალექსი	„ „	1918 „
28	ნიპარავიშვილი მ.	„ „	1918 „
29	ნიპარავიშვილი ბ.	„ „	1918 „
30	ბაინდურაშვილი ნ.	„ „	1918 „
31	გურასაშვილი მ.	„ „	1918 „
32	ზარიძე კოტე	„ „	1918 „
33	ტერტერაშვილი ვ.	მიწ. მუშა თან.	1918 „
34	ჯავახიშვილი ა.	„ „	1918 „
35	ჯანვერდაშვილი ს.	„ „	1918 „
36	მერებაშვილი ა.	„ „	1918 „
37	თათრიშვილი მ.	„ პარტ.	1918 „
38	მერაბიშვილი შ.	„ „ თან.	1918 „
39	გზირიშვილი ზ.	„ „	1919 „
40	ნანიაშვილი კ.	„ „	1918 „
	ნადირბაზევი		
41	გერმანოზაშვილი ნ.	„ პარტ.	1918 წ.
42	მენაბდიშვილი ს.	„ „	1918 „
	კახპი		
43	შალუტაშვილი კ.	„ „	1915 „
	საყორინთლო		
44	სოსონაშვილი ი.	„ „	1905 „
45	სოსანაშვილი ვ.	„ „	1918 „
46	სოსანაშვილი ლ.	„ „	1918 „
47	სოსანაშვილი ვ.	„ „	1981 „
48	სოსანაშვილი გ.	„ „	1918 „
49	ოღაძე ვანო	„ „	1918 „
50	ოღაძე რეზო	„ „	1918 „
51	ფოსური ვანო	„ „	1918 „

№ 26-40-მდე წერა არ აციან
მათ მაგივრათ ხელს ვაწერ
გასიტაშვილი იაკოფ.

* უადგილოების გამო სიას ამ ნომერში სრულიად ვერ ვბეჭდავთ. დანარჩენ ამხანაგების გვარი მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში. რედ.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

მოკავშირეთა კონფერენცია.

ლონდონში შეიკრიბა მოკავშირეთა კონფერენცია. ამ კონფერენციაზე ამერიკა მონაწილეობას არ იღებს; ის ასრულებს უბრალო მეთვალყურის როლს. სინამდვილეში კი ის არაა უბრალო მეთვალყურე. საერთაშორისო პოლიტიკის ყველა ძაფები მის ხელში იყრის თავს, მაგრამ ის იქ მიდის, საიდანაც გამორჩენას მიიღებს. ლონდონის კონფერენცია კი ერთი მორიგი სალაყბოა, საიდანაც ხეირი არა გამოვა რა.

ეს კონფერენცია მოწვეულია გერმანიის საკითხის მოსაგვარებლად. როდესაც სპარლამენტო არჩევნებში მემარცხენეებმა გაიმარჯვეს, გერმანიას იმედი მიეცა, რომ ჩემი მდგომარეობა აწი მაინც შემსუბუქდება ცოტათიო, მაგრამ ვერც მაკდონალდმა და ვერც ერრიომ ვერ გადადგეს ისეთი ნაბიჯი, რომელიც გერმანიას საშუალებას მისცემდა თავისუფალი განვითარებისა.

პირიქით, ისინი: მაკდონალდი და ერიო ცდილობენ, როგორმე სავსებით დაახრჩონ გერმანია და დავა იმაშია, ვინ რა წაგლიჯოს მას.

ამას წინეთ ერიომ სენატში აშკარად განაცხადა, რომ გერმანიის მიმართ ის განაგრძობს პუანკარეს პოლიტიკას და დაუმატა: „ჩვენ ხმა მაღლა ვაცხადებთ ყველა ჩვენი მოკავშირეების წინაშე, რომ საფრანგეთმა უნდა მიიღოს თავისი წვლილი გერმანიისაგან“-ო.

და აი ასეთი აზრებით და ზრახვებით იკრიბება ლონდონის კონფერენცია. გერმანია თხოულობს დამიშვით კონფერენციაზეო, მაგრამ მას არ უშვებენ, სამაგიეროდ განაჩენის გამოსაცხადებლად კონფერენციის ბოლოსაა მიწვეული ის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერც ეს ლონდონის კონფერენცია გამართლდება. ილაყბებენ, ილაყბებენ და დაიშლებიან. თუმცა უნდა აღინიშნოს აქვე, რომ, როგორც დეპეშები გადმოგვცემს, მაკდონალდის და ერიოს მდგომარეობა მეტად შერყეულია და ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რომ ინგლის-საფრანგეთის ინტერესები ერთმანეთს შეუთანხმონ-

გამოვა რამე?

ამას ახლო მომავალი დაგვანახვებს.

ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენცია.

უკანასკნელ კვირაში ინგლის-საბჭოთა კონფერენციის შესახებ თითქმის არავითარი ცნობები არ გამოქვეყნებულა. ამ ჟამად ინგლისი დაკავებულია მოკავშირეთა კონფერენციით და საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკება უთუოდ ნელი ტემპით წავა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოკავშირეთა კონფერენციაზე გარდა გერმანიის საკითხისა უთუოდ დასმული იქნება საკითხი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ. და ამიტომ მოსალოდნელია მოკავშირეთა კონფერენციის დასრულების შემდეგ საბჭოთა კავშირის და ინგლისის მოლაპარაკების უფრო ჩქარი ტემპით მსვლელობა.

გასულ კვირას გაზეთებში გამოქვეყნდა ინგლისის პრესის აზრი საბჭოთა კავშირის და ინგლისის მოლაპარაკების შესახებ.

მაგ. გაზ. „სტარ“-ი იტყობინება, რომ იმ შეთანხმების ძალით, რომელიც დადებული იქნება გარეშე საქმეთა სამინისტროსა და საბჭოთა დელეგაციას შორის ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციაზე, საბჭოთა მთავრობას უფლება მიეცემა წარადგინოს მოთხოვნილება ინგლისის ბანკში შენახულ ამ თანხის დაბრუნების შესახებ, რომელიც წინეთ მეფის მთავრობას ეკუთვნოდა; ეს თანხა უდრის 10 მილ. გირ. სტერლინგს; „ობსერვერი“ აბათილებს გაზეთებში დაბეჭდილ ცნობებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობას გადაეცემა ყოფ. მეფის მთავრობის მიერ ინგლისის ბანკებში შენახული ფულები და აღნიშნავს, რომ ეს ფულები არ გადაეცემა საბჭოთა მთავრობას მანამ, სანამ გადახდილი არ იქნება ვალები. მეორე ცნობაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობას წინადადება მიეცეს გადასდოს საერთო თანხა რევოლიუციის დროს დაზარალებულ მოქალაქეთა საკომპენსაციოთ. მუშათა წრეებში გაკვირვებას გამოსთქვამენ ამ ცნობის გამო და აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კონტრპრეტენზიები და ინტერვენციის დროს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალი და აგრეთვე კერძო პირების ზარალიც თამამად შეიძლება დაუპირდაპირდეს ინგლისის პრეტენზიებს. პარლამენტის მუშათა წრეები სავსებით ეთანხმებიან იმ აზრს, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ მიაჩნია შესაძლებლად განხილულ იქნას იმ პირთა ვალების საკითხი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ინტერვენციაში, ვინაიდან ასეთი პრინციპი ხმარებელი იყო ინგლისის მთავრობის მიერ ომის შემდეგ გერმანიის მიმართ.

რეაქცია გერმანიაში.

მოსკოვის გაზ. „პრავდა“ თავის ერთ-ერთ მოწინავეში აღნიშნავს, რომ გერმანიაში რეაქცია ძლიერდება, რეიხსტაგის კომფრაქციაზე თავდასხმის შემდეგ დაიწყო ახალი ჩხრეკა, კომუნისტების დაპატიმრება, გააფთრებული კამპანია კომპარტიის წინააღმდეგ...

შტრეზემანმა ლითონის დამმუშავებელთა კრებაზე განაცხადა, რომ საჭიროა ქვეყნის შიგნივ ეკონომიურ დაბრკოლებათა დაძლევა —რაშიაც უნდა ვიგულისხმოთ 8 საათის სამუშაო დღის ლიკვიდაცია. ბოლოს გაზეთი დასძენს: გერმანიაში რეაქციის გაძლიერება გამოიღებს ისეთ ნაყოფს, რომელიც არ იქნება ისეთი, როგორსაც გერმანიის ბურჟუაზია მოელის“-ო.

იტალიაში.

იტალიაში ფაშიზმის კრიზისი ვითარდება. იტალიის დიკტატორი მუსოლინიც კი ჩააფიქრა იმ გარემოებამ, რომ მთელი საზოგადოებრივი აზრი აღშფოთებულია ფაშისტების მოქმედებით. იტალიის საშინაო მდგომარეობა იმდენად შერყეულია, რომ მუსოლინიმ ვერ გაბედა იტალიის დატოვება და ლონდონის კონფერენციაზე გამგზავრება. ფაშიზმის დღეები დათვლილია...

იაპონია და საბჭოთა კავშირი.

ეს ერთი ხანია, რაც მოლაპარაკება სწარმოებს საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის, მაგრამ არავითარი შედეგები არაა მიღწეული. იაპონია რაღაც თაღლითობს. მან თავის წარმომადგენელს დაავალა სახალინის საკითხის ადგილობრივ პრაკტიკულად შესწავლა და კონფერენცია გადადო. ამბ. კარახანი აღნიშნავს, რომ საკითხის პრაქტიკულად შესწავლა ზედმეტი იყოვო. აჭიანურებს იაპონიაც მოლაპარაკებას. უყურებს, აბა ინგლისი რას იზამსო.

შავი ორგანიზაცია.

ჟენევაში (შვეიცარიაში) დაარსდა ახალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს მესამე კომინტერნის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ ორგანიზაციის დროებითი ბიუროს მიუმართავს მოწოდებით ევროპის და ამერიკის ყველა პატრიოტული საზოგადოებისა და ორგანიზაციებისათვის, რათა მათ გამოიწვიონ თავიანთ ქვეყნებში მოძრაობა კომინტერნის წინააღმდეგ. ამაოა.

ქრონიკა

◆ **13 ივლისს** ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა ქართვ. მსახიობთა ერთი ჯგუფის და ყანწელ მწერალთა დეკლარაცია საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესახებ.

◆ **კვლავ** მოვაგონებთ ამხანაგებს, რომ საქართველოს სოც. დემოკრატიული პარტიის უკანასკნელი ყრილობის წლის თავს 25 აგვისტოს გამოვა „სიმართლის ხმის“ საიუბილეო ნომერი. გთხოვთ ამ ნომრისთვის მოგვაწოდოთ თქვენი მოგონებები, შთაბეჭდილებები და წერილები. მასალის მიღების უკანასკნელი ვადაა 15 აგვისტო.

◆ **აჭარაში** ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაგებად საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ გადასდვა 600 ათასი მანეთი.

◆ **საბჭოთა** კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭომ საქართველოში ჩაის კულტურის განსავითარებლად გადასდო 2 მილიონი მანეთი.

◆ **საქართველოს** კომპარტიის ცეკას პლენუმმა სხვა საკითხებთან ერთად განიხილა თემების რაიონიზაციის საკითხი და დაადგინა: რაიონიზაცია დარჩეს, ხოლო სოფლის საბჭოს უფლებები გაფართოვებული იქნეს.

◆ **1 ივლისიდან** სახალხო მასწავლებლებს მიეცემათ გადიდებული ჯამაგირი.

სხვა და სხვა ამბები.

◆ **ლონდონში** გაიხსნა მოკავშირეთა კონფერენცია.

◆ **პრესის** ცნობით მოკდონალდი მხარს უჭერს საფრანგეთის პოლიტიკას გერმანიის მიმართ.

◆ **ერიოს და მაკდონალდის** მდგომარეობა თანაბრათ შერყეულია და ისინი შეეცდებიან როგორმე შეთანხმდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეცემიან.

◆ **გერმანია** ითხოვს კონფერენციაზე დაშვებას, მაგრამ არ უშვებენ.

◆ **საფრანგეთი** იჭვის თვალით უყურებს კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობას.

◆ **ამერიკა** ამ კონფერენციაზე მეთვალყურის როლში იქნება.

◆ **საფრანგეთის** მთავრობამ დელეგაციის სიიდან ამოშალა გენერლები: დეგუტი, ფოში და საფრ. კომ. რეინზე ტირარი, რომლებიც ცნობილნი არიან თავისი მტრული დამოკიდებულებით გერმანიის მიმართ.

◆ **ერიომ** დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ ის განაგრძობს პუანკარეს პოლიტიკას.

◆ გერმანიაში აღშფოთებულნი არიან ერიომ-მაკდონალდის გეგმით.

◆ **შტრეზემანი,** გერმანიის საგარეო მინისტრი, მოითხოვს გერმანიის მიმართ გამოჩენილ იქნეს მცირედი ლმობიერება.

◆ **მოსკოვში** გაიხსნა პროფინტერნის მესამე კონგრესი.

◆ **იქვე** გაიხსნა ახალგაზრდობის მეოთხე კონგრესი.

◆ **ერიომ** რუსეთის საელჩოდან გააძევა რეაქციონერი მაკლაკოვი.

◆ **დამოკიდებულება** რუმინეთსა და ამერიკას შორის თანდათან მწვავდება.

◆ **ამერიკა** ჩინეთის მიმართ ინტრიგებს აწარმოებს, მას არ აძინებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება.

◆ **სამხრეთ-სლავიის** და ბულგარეთის მთავრობები იხილავენ საკითხს, რომ ორივე მთავრობამ შეერთებული ბრძოლა აწარმოვოს კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ.

◆ **გერმანიაში** თანდათან ძლიერდება რეაქცია. სწარმოებს კომუნისტების დაპატიმრება და გააფთრებული კომპანია კომპარტიის წინააღმდეგ.

◆ **ბრაზილიაში** აჯანყებულები იმარჯვებენ. რევოლიუციონურ არმიაში ითვლება 34.000 კაცი, მთავრობის არმიაში კი—24.000 კაცი.

◆ **გაიხსნა** მცირე ანტანტის კონფერენცია,

◆ **რუმინეთში** სწარმოებს ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრა. პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომლის ძალით ეროვნულ უმცირესობათა ენა საშუალო სასწავლებლებში არ ითვლება სავალდებულოდ.

◆ **საფრანგეთის** დეპუტატთა პალატამ მიიღო დადგენილება ამნისტიის გამოცხადების შესახებ 325 ხმით 185 წინააღმდეგ.

◆ **გერმანიის** რეიხსტაგი 29 ივლისს განაახლებს სხდომებს.

◆ **ინგლისში** შესდგა საბჭოთა კავშირთან კულტურული ურთიერთობის მომწესრიგებელი საზოგადოების დამფუძნებელი კრება.

ჩვენი თანამშრომლეგის და მკითხველეგის საყურადღეგოთ

25 აგვისტოსათვის განზრახულია ჩვენი ჟურნალის საიუბილეო ნომრის გამოცემა. „სიმართლის ხმი“-ს რედაქცია სთხოვს ყველა თავის თანამშრომლებს და მკითხველებს დაამზადონ ამ ნომრისათვის მოგონებები, შთაბეჭდილებები, პრინციპიალური ხასიათის წერილები და სურათები.

მასალების მიღების უკანასკნელ დღეთ დანიშნულია 15 აგვისტო 1924 წ.

სარედაქციო კოლეგია

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჩლაიძე. ა. ფარნიევი. ა. რუხაძე. კ. თოფაძე. გ. ვარდოიანი. ა. ჭყონია.

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 3003. ნებადართულია ლიტ. გამ. და მართ. მიერმთავ. № 1653